

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2013. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით (www.coe.int/humanrightstrustfund). სასამართლოსათვის იგი სავალდებულო ხასიათს არ ატარებს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ საავტორო უფლებების სრული მიმოხილვა მოცემული დოკუმენტის ბოლოს.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2013. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court. For further information see the full copyright indication at the end of this document.

© Conseil de l'Europe/Cour Européenne des Droits de l'Homme, 2013. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour. Pour plus de renseignements veuillez lire l'indication de copyright/droits d'auteur à la fin du présent document.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო

მესამე სექცია
განჩინება

საჩივარი № 33917/12

საქმე ბედე ჯოკაბა ლაშვი ლონგა ნიდერლანდების წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მესამე სექციამ განიხილა რა საქმე 2012 წლის 9 ოქტომბერს შემდეგი შემადგენლობით:

ჟოსეფ კასადევალი, *პრეზიდენტი*,

ეგბერტ მაიერი,

კორნელიუ ბირსანი,

ალვინა გიულუმდანი,

ლუის ლოპეს გერა,

ნონა წოწორია,

ქრისტიანა პარდალოსი, *მოსამართლეები*,

და სანტიაგო კესადა, სასამართლო გამწესრიგებელი,

მიიღო რა მხედველობაში 2012 წლის 1 ივნისს შემოტანილი ზემომითითებული საჩივარი, გამოიტანა შემდეგი განჩინება:

ფაქტები

1. მომჩივანი ბ-ნი ბედე ჯაკობა ლამბი ლონგა, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქე, დაიბადა 1966 წელს. ამჟამად ის ჰააგაში (ნიდერლანდები), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფება. სასამართლოში მას წარმომადგენდენ ამსტერდამში მოღვაწე იურისტები - ბ-ნი ვ.ეიკელბუმი, ბ-ნი ფ. შულერი და ბ-ნი გ.შლუიტერი.

ა. საქმის გარემოებანი

1. მომჩივნის პატიმრობა კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

2. მომჩივნის მიერ წარმოდგენილი საქმის გარემოებები შეგვიძლია ჩამოვაცალიბოთ შემდეგნაირად.
3. მომჩივანი კონგოლეზელ პატრიოტთა კავშირის თვალსაჩინო წარმომადგენელი გახლდათ (*Union des patriotes congolais*, "UPC") . პოლიტიკური მოძრაობა შეიქმნა დემოკრატიული რესპუბლიკა კონგოს რეგიონში, კერძოდ იტურიში. „კპკ“-ს (კონგოლეზელ პატრიოტთა კავშირი) სამხედრო ფრთა - „კონგოს გათავისუფლების პატრიოტული ფრონტი“ - იმ რეგიონში, უკანასკნელ წლებში მოქმედი ერთ-ერთი შეიარაღებული დაჯგუფება იყო.
4. 2005 წლის 19 მარტს, მომჩივანი „კპკ“-ს სხვა წევრებთან ერთად დააკავეს კინშასაში, მათ შორის იყო თომას ლუბანგა დიილო, „კპკ“-ს პრეზიდენტი და „კონგოს გათავისუფლების პატრიოტული ფრონტის“ უფროსი მეთაური.
5. ცნობილია, რომ მომჩივანს ბრალად კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოქმედი გაეროს მისიის ცხრა ბანგლადეშელი წარმომადგენლის მკვლელობა ან მკვლელობაში თანამონაწილეობა ედება. მომჩივანი ამ ბრალდებას დაჟინებით უარყოფდა.
6. მომჩივანს დაკავების ვადა რამოდენიმეჯერ გაუხანგრძლივდა. სასამართლოს საქმეში თანდართული დაკავების შესახებ უკანასკნელი ბრძანებულების ვადა 2007 წლის 2 ივლისს ამოიწურა. მომჩივანი აცხადებდა, რომ მისი დაკავების შემდგომი გახანგრძლივების უფლებამოსილება არ არსებობდა და რომ ამ დრომდე მის დაკავებას არანაირი სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა.

2. მომჩივნის საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსთვის გადაცემა

7. 2006 წლის 17 მარტს, თომას ლუბანგა დიილო სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ გაცემული ორდერის საფუძველზე დააკავეს და ჰააგაში გადაიყვანეს. 2006 წლის 28 აგვისტოს ცნობილი გახდა, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორმა, ბ-ნ ლუბანგა დიილოს თხუთმეტი წლის ასაკამდე ბავშვების გაწვევა ან შეგროვება და მათი გამოყენება სამხედრო მოქმედებებში აქტიური მონაწილეობის მისაღებად წაუყენა ბრალად.
8. 2011 წლის 27 მარტს, დაკავებული მომჩივანი კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჰააგაში, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს განკარგულებაში, ბ-ნი ლუბანგა დიილოს სასამართლოზე დაცვის მხარის მოწმის სახით, ჩვენებების მისაცემად გადაიყვანეს. როგორც საქმიდან გამომდინარეობს, მომჩივანი ჰააგაში გადაყვანას ნებაყოფლობით დასთანხმდა. სასამართლოს 1-ლი პალატის 2011 წლის 5 აგვისტოს განჩინების თანახმად (იხ. ქვემოთ), კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ აიღო ვალდებულება, პატივი სცეს მომჩივნის უფლებას არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ.
9. მომჩივანმა ჩვენებები, 2011 წლის 30 მარტიდან 7 აპრილის ჩათვლით, სხვადასხვა დღეს მისცა.

3. სამართალწარმოება საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოში

(ა) მომჩივნის მიერ სასამართლო პალატის წინაშე წარმოდგენილი არგუმენტები

10. 2011 წლის 7 აპრილს, მომჩივანმა მიმართა სასამართლოს პირველ პალატას „მისთვის თავშესაფრის მინიჭებასთან დაკავშირებით სპეციალური ზომების მიღების“ მიზნით. მან კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაბრუნების შემთხვევაში, მთავრობისა და თვით პრეზიდენტ კაბილას მხრიდან მის მიმართ შესაძლო რეპრესიების შესახებ განაცხადა. ის ასევე ამტკიცებდა, რომ ჰქონდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, ის საჭიროებდა სამედიცინო დახმარებას, რაც კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიუწვდომელი იყო.
11. 2011 წლის 1 ივნისს, მომჩივანმა ნიდერლანდების ხელისუფლების სახელზე თავშესაფრის მინიჭების თაობაზე შუამდგომლობა შეიტანა (იხ. ქვემოთ). იმავე დღეს, მან სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, პროცედურისა და მტკიცებულებათა რეგლამენტის 88 (1) მუხლის საფუძველზე (იხ. ქვემოთ), „სპეციალური ზომების“ მიღების თაობაზე მიმართა, რათა შეჩერებულიყო კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მისი გადაყვანა.
12. სასამართლო პალატამ კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკას საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენა დაავალა. ამ უკნასკნელის აზრით, მომჩივანი, მთელი სამართალწარმოების განმავლობაში, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ იყო დაკავებული და იმ სასამართლოს ფაქტობრივ პატიმრობაში მხოლოდ დროებით იყო გადაცემული. მათი აზრით, 1951 წლის 28 ივლისის ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენციას და მის 1967 წლის 31 იანვრის დამატებით ოქმს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტთან, კერძოდ, მის 93-ე მუხლთან (იხ. ქვემოთ) მიმართებაში უპირატესობა არ უნდა მინიჭებოდა.
13. ნიდერლანდების მთავრობა, 2011 წლის 7 ივნისს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სამდივნოში მიღებულ მოსაზრებებში ამტკიცებდა, რომ მომჩივანი საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს უფლებამოსილების ქვეშ იმყოფებოდა და შესაბამისად, მასპინძელი ქვეყნის იურისდიქციის გარეთ იყო. თუმცა, თუ თავშესაფრის შესახებ შუამდგომლობა უკვე დაყენებულია, „შედეგის

მიუხედავად“, მთავრობამ ამაზე უნდა იმსჯელოს და გადაწყვეტილება მიიღოს. რა თქმა უნდა, მასპინძელმა ქვეყანამ უნდა გაითვალისწინოს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შეფასება, რამდენად უსაფრთხო იქნება მომჩივნის დაბრუნება კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში; უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ გამოვლენილი ნებისმიერი რისკი უნდა გადაწყდეს მოწმეთა დაცვის პროგრამის ფარგლებში. ამავდროულად, მომჩივანი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მეურვეობის ქვეშ უნდა დარჩეს.

14. სასამართლო პალატის მიერ გაცემული ბრძანებულების საფუძველზე, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მსხვერპლთა და მოწმეთა განყოფილებამ მომჩივნისა და სხვა საქმეში ანალოგიური პრობლემების მქონე მონაწილე რამოდენიმე მოწმის რისკის შეფასება განახორციელა. ეს შეფასება ეყრდნობოდა მომჩივნის ჩვენებების სტენოგრამას, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებასა და მომჩივნის საპატიმრო ადგილის დირექტორთან შეხვედრის შედეგებს (საპატიმრო ცენტრი მაკალა, კინშასა). მსხვერპლთა და მოწმეთა განყოფილებამ დაასკვნა, რომ მომჩივნის მიერ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში ჩვენების მიცემა კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაბრუნების შემდეგ მასზე ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედების მიზეზი არ გახდებოდა. რაც შეეხება მომჩივნის შიშებს, რომ კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მისი დაბრუნების შემდეგ კონგოს მთავრობის გავლენიანი პირების შესახებ მის მიერ მიცემული ჩვენებები მას საფრთხეს შეუქმნიდა, მსხვერპლთა და მოწმეთა განყოფილებამ ჩათვალა, რომ მომჩივნის მიერ მიცემული ჩვენებები კონგოს ხელისუფლებისთვის რაიმე ახალი ინფორმაციის შემცველი არ იყო. მეტიც, ის, რომ მომჩივანს ამ საქმეში კონგოს ხელისუფლებისა და კერძოდ, პრეზიდენტ კაბილას ჩარევის სურვილი გააჩნდა, საყოველთაოდ ცნობილი იყო. მსხვერპლთა და მოწმეთა განყოფილებამ დაასკვნა, რომ მომჩივნის მიერ მიცემულ ჩვენებებს არ შეეძლო რაიმე გავლენა მოეხდინა კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის შიდა პოლიტიკაზე, მაგალითად, გამოეწვია რეპრესიები. გარდა ამისა, მომჩივნის მაკალას საპატიმროში დაბრუნების შემთხვევაში, კონგოს ხელისუფლება მომჩივნის ადექვატურ დაცვასა და მისი უსაფრთხოების მუდმივი მონიტორინგის გარანტიებს გასცემდა.
15. ხელმისაწვდომი სამედიცინო ინფორმაციიდან გამომდინარე დადგინდა, რომ მომჩივანმა მიიღო მისი მდგომარეობის შესაფერისი მკურნალობა და შეეძლო გადაადგილება.

(ბ) სასამართლო პალატის განჩინება

16. 2011 წლის 4 ივლისს, სასამართლოს პირველმა პალატამ გამოიტანა განჩინება. მან აღიარა, რომ სტატუტის 93-ე მუხლის მე-7 ნაწილის (ბ) პუნქტისა და პროცედურისა და მტკიცებულებათა რეგლამენტის 192-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ისევე როგორც სტანდარტული ოპერაციული პროცედურების ფარგლებში, საერთაშორისო სისხლის სასამართლომ აიღო ვალდებულება სასამართლო სამდივნოსა და კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის შეთანხმების საფუძველზე, მომჩივანი კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაებრუნებინა, ვინაიდან მომჩივანმა ჩვენებების მიცემა დაასრულა. თუმცა, სტატუტის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილი მოითხოვს, რომ შესაბამისი ნორმების გამოყენება და განმარტება მოხდეს საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებების შესაბამისად. ამიტომ სასამართლო პალატას პირველ რიგში მომჩივნის თავშესაფრის შესახებ შუამდგომლობაზე უნდა ემსჯელა.

17. მომჩივნის თავშესაფრის შესახებ უნდა ემსჯელა არა საერთაშორისო სისხლის სასამართლოს, არამედ ნიდერლანდების ხელისუფლებას. თუმცა, ამ უკანასკნელს ამის განხორციელება, ისევე როგორც მომჩივანს - საკუთარი მოთხოვნის დაცვა, მხოლოდ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მხრიდან სათანადო შესაძლებლობის შექმნის შემთხვევაში შეეძლო. სწორედ ნიდერლანდების ხელისუფლებას უნდა გადაეწყვიტა, თავშესაფრის მინიჭების თაობაზე სამართალწარმოებისა და მომდევნო სააპელაციო ეტაპზე, საჭიროებდა თუ არა მომჩივანი მის კონტროლ ქვეშ ყოფნას.
18. სასამართლო პალატამ სამდივნოს მისცა მითითება, რომ მომჩივანს მისცემოდა გონივრული ხელმისაწვდომობა ადვოკატებზე, რომლებიც წარმოადგენდნენ მის ინტერესებს თავშესაფრის მოთხოვნასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებაში; შიდა პროცედურასთან დაკავშირებით წარმოედგინა მოხსენება, რათა ნიდერლანდებმა მომჩივნის კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაბრუნებამდე (თავშესაფრის არ მინიჭების შემთხვევაში) შეძლოს მომჩივნის თავშესაფრის შუამდგომლობასთან მიმართებაში საკუთარი ვალდებულებების შესრულება; მომჩივნის კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაბრუნებამდე, კონგოს ხელისუფლებასთან კომუნიკაცია, რათა მომჩივნის უსაფრთხოებისთვის გატარდეს ყველა ზომა, რასაც სამდივნო ჩათვლის საჭიროდ, ასევე კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაბრუნების შემდეგ, მომჩივნის მდგომარეობის მონიტორინგი.

(გ) შემდგომი სამართალწარმოება საერთაშორისო სისხლის სასამართლოში

19. 2011 წლის 2 აგვისტოს, ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრმა სასამართლოს წარუდგინა ვერბალური ნოტა, რომელშიც ატყობინებდა სასამართლო პალატას, რომ აუცილებელი იყო მომჩივანთან როგორც გასაუბრებების, ასევე შემდგომი გამომძიებების და სხვა დაკავშირებული პროცედურების ჩატარება. ნოტა ასევე ადგენდა:

„ზემოხსენებულმა ადმინისტრაციულმა და სასამართლო წარმოებამ შესაძლოა დიდი ხანი გასტანოს, შესაბამისად, ნიდერლანდები მოითხოვს მომჩივნის საერთაშორისო სისხლის სასამართლოს საპატიმრო დაწესებულებაში დატოვებას.“

20. 2011 წლის 13 ივლისს, სასამართლო პალატის განჩინებასთან დაკავშირებით ნიდერლანდების მთავრობამ აპელაცია მოითხოვა. კონგოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ წარმოადგინა დოკუმენტი, რომლითაც ის ეწინააღმდეგებოდა პალატის მიერ გასაჩივრების დასაშვებობის შესახებ მიღებულ განჩინებას. 2011 წლის 4 აგვისტოს, სასამართლო პალატამ ორივე მოთხოვნა დააკმაყოფილა. შემდგომში, (თარიღი უცნობია) სააპელაციო პალატამ გადაწყვიტა, რომ ნიდერლანდებისთვის გასაჩივრების უფლების მინიჭება წარმოადგენდა უფლებამოსილების გადამეტებას (*ultra vires*) და შესაბამისად, იყო მცდარი.
21. 2011 წლის 15 აგვისტოს ბრძანებულებაში, სასამართლო პალატამ განმეორებით განაცხადა ნიდერლანდებისთვის

„გადასაწყვეტია, მისი ეროვნული და საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით, თუ რამდენად შეუძლია კონტროლს დაიქვემდებაროს მოწმე მანამ, სანამ მისი თავშესაფრის შესახებ შუამდგომლობა და დაკავშირებული გასაჩივრების პროცედურები არ დასრულდება.“

გარდა ამისა,

„მიმღებ სახელმწიფოს მოუწოდეს „დაუყოვნებლივ განეხილა“, თუ რამდენ ხანს აპირებდა მომჩივნის ნიდერლანდებიდან გამგზავრების საკითხის გადადებას. სამდივნოს უნდა განეხილა

5 გადაწყვეტილება საქმეზე ბედე ჯოკაბა ლამბი ლონგა ნიდერლანდების წინააღმდეგ

ჰოლანდიის ხელისუფლებასთან მოწმის ნიდერლანდების „კონტროლ ქვეშ“ გადაცემის საკითხი იმ შემთხვევაში, თუ მიმღები სახელმწიფო გადაავადებდა მოწმის გამგზავრებას, თავშესაფრის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე. მოწმის გადაცემის გონივრული ვადა უნდა შეთანხმებულიყო სამდივნოსა და მიმღებ სახელმწიფოს შორის.“

22. 2011 წლის 26 აგვისტოს, ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტრომ საერთაშორისო სისხლის სასამართლოს გაუგზავნა ვერბალური ნოტა (*note verbale*) შემდეგი პირობებით:

„ნიდერლანდების პოზიცია უცვლელია - მოწმე [მომჩივანი] თავშესაფრის მიღების პროცედურის დამთავრებამდე, უნდა დარჩეს სასამართლოს პატიმრობაში. ამასთან მიმართებაში, ნიდერლანდები ამახვილებს ყურადღებას მის 2011 წლის 2 აგვისტოს ვერბალურ ნოტაზე (*note verbale*), რომელშიც ის განსაზღვრავს პროცედურას, რომელსაც უნდა მისდიოს ნიდერლანდებმა, რათა ჰქონდეს საშუალება შეასრულოს თავშესაფრის თხოვნასთან დაკავშირებული ვალდებულება, მათ შორის, ადმინისტრაციული და სასამართლო წარმოებები. ამასთან, ნიდერლანდებმა განაცხადა, რომ მოითხოვდა დაკავებული მოწმის [საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს] საპატიმრო დაწესებულებაში დატოვებას.“

მოწმე დროებით, მათ შორის დადებული შეთანხმების - სტატუტის 93-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად - კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკიდან პატიმრობაში სასამართლოს [საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს] გადაეცა. ამ შეთანხმების ფარგლებში, მოწმე მანამდე დარჩება პატიმრობაში და მხოლოდ მაშინ დაბრუნდება [კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში], როდესაც გადაცემის მიზნები შესრულებული იქნება. ეს შეთანხმება [საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსა] და [კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკას] შორის [საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს] მიერ წარმოებული სისხლის სამართლებრივი დევნის ხელშეწყობისთვის შედგა. ნიდერლანდებისთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება უსაბუთო და არალეგალ უცხო ქვეყნის მოქალაქეების საკუთარ ტერიტორიაზე მიღებაზე ვალდებულების აღება იმ ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის ხელმომწერ მხარეს ის არ წარმოადგენს. სტატუტისა ან შტაბ-ბინის მთავარი ადგილსამყოფელის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად, სასამართლოს ნიდერლანდებისთვის მოწმის გადაცემის უფლებამოსილება არ გააჩნია, ასევე, მას არ გააჩნია უფლებამოსილება იგივე ვალდებულება დააკისროს მასპინძელ სახელმწიფოს. ასევე, როგორც [საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს] მიერაა აღიარებული, ნიდერლანდებს, მოწმის მის კონტროლ ქვეშ მიღების ვალდებულება არ გააჩნია.

ამასთან დაკავშირებით ნიდერლანდები აღნიშნავს, რომ მოცემული ვითარების გათვალისწინებით, მას არ გააჩნია იურისდიქცია თავშესაფრის მინიჭების შესახებ შუამდგომლობის განხილვის მთელი პერიოდის განმავლობაში მოწმე პატიმრობაში ჰყავდეს.

მეტიც, ნიდერლანდები მოწმის გამგზავრების გადადებას მიზნად არ ისახავს. ნიდერლანდები აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილება განამტკიცებს სასამართლოს პასუხისმგებლობას, უზრუნველყოს მოწმის რეალური და არა თეორიული შესაძლებლობა, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაბრუნებამდე, თავშესაფრის მინიჭების მოთხოვნით მიმართოს ჰოლანდიის ხელისუფლებას. ნიდერლანდების განმარტებით, ეს პასუხისმგებლობა გულისხმობს, რომ სასამართლო არ გადასცემს მოწმეს [კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში] მანამ, სანამ არ დასრულდება თავშესაფრის მინიჭების პროცედურა.

შესაბამისად, ნიდერლანდების პოზიცია რჩება უცვლელი - მოწმე, თავშესაფრის შესახებ შუამდგომლობის განხილვამდე, უნდა დარჩეს სასამართლოს პატიმრობაში. ამგვარად, ნიდერლანდებს არ მიაჩნია, რომ ამავდროულად, სამდივნოსთან კონსულტაციების გამართვის აუცილებლობა არსებობს.

23. მოწმის მოთხოვნაზე 2011 წლის 4 ივლისის განჩინების გადახედვასთან დაკავშირებით, 2011 წლის 1 სექტემბერს სასამართლო პალატამ გამოსცა შემდეგი ბრძანებულება:

„ვინაიდან მასპინძელმა სახელმწიფომ შეატყობინა პალატას, რომ არ აპირებდა [მოწმის] [კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში] დაბრუნების საკითხის გადადებას და უარი თქვა მასპინძელი

6 გადაწყვეტილება საქმეზე ბედე ჯოკაბა ლამბი ლონგა ნიდერლანდების წინააღმდეგ

სახელმწიფოს პატიმრობაში გადაცემასთან დაკავშირებით სამდივნოსთან კონსულტაციაზე, პალატის მიერ გამოცემული ბრძანებულების გადახედვის მოთხოვნა საფუძველს-მოკლებულია.

მოსამართლეების აზრით, პალატამ სამდივნოს მისცა ნათელი მითითებები, რომ [მომჩივნის] გამგზავრების გადავადება მოხდა იმ პირობით, რომ მოწმის [მომჩივნის] პატიმრობა, ამ უკანასკნელისთვის თავშესაფრის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, მასპინძელი სახელმწიფოს უფლებამოსილების ქვეშ გადადის. პალატამ განახორციელა თავისი ვალდებულება სტატუტის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად და ახლა მასპინძელი სახელმწიფოს ჯერია (სწორედ მას წარედგინა თავშესაფრის შესახებ მოთხოვნა) გადაწყვიტოს, საჭიროა თუ არა შუამდგომლობის განხილვისა ან გასაჩივრების მომდევნო ეტაპის დასრულებამდე, მოწმის [მომჩივნის] კონტროლ ქვეშ აყვანა,

აქედან გამომდინარე, სამდივნომ უნდა იმოქმედოს [მომჩივანთან] მიმართებაში სტატუტის 93-ე მუხლის მე-7 ნაწილის (ბ) პუნქტისა და რეგლამენტის 192-ე (4) წესის თანახმად...

როდესაც [მომჩივნის] გამგზავრების თარიღი გახდება ცნობილი ... სასამართლო გამწესრიგებელმა ამის შესახებ მიმღებ სახელმწიფოს [კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკას] უნდა შეატყობინოს. მომჩივნის [კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში] გამგზავრებამდე ნებისმიერ დროს, თუ ჰოლანდიის ხელისუფლება განაცხადებს, რომ ის მოწმის კონტროლ ქვეშ აყვანას აპირებს, სასამართლო გამწესრიგებელმა [მომჩივნის] გადაცემის თაობაზე მასპინძელ სახელმწიფოსთან უნდა ითანამშრომლოს.“

24. 2011 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით, სასამართლო პალატამ არ დააკმაყოფილა მომჩივნის შუამდგომლობა კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მის დაბრუნებასთან დაკავშირებით გამოცემული ბრძანებულების გაუქმებაზე და, საჭიროების შემთხვევაში, მისი გირაოთი გათავისუფლებაზე. მან დაამატა:

„სასამართლოს [2011 წლის 1 სექტემბრის] ბრძანებულება რჩება ძალაში. პალატა სტატუტის 93-ე მუხლის მე-7 ნაწილის (ბ) პუნქტისა და რეგლამენტის 192-ე(4) წესის შესაბამისად კვლავ იმეორებს სამდივნოს მითითებას, უზრუნველყონ [მომჩივნის] გადაცემა, როგორც კი [იგი] გამგზავრებისთვის იქნება მზად. ჰოლანდიის ხელისუფლებამ თვითონ უნდა გადაწყვიტოს, ეროვნული სამართალწარმოების განსახორციელებლად, საჭიროა თუ არა მოწმის კონტროლ ქვეშ აყვანა.

[კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში] დაბრუნებამდე, [მომჩივანი] სტატუტის 93-ე მუხლის მე-7 ნაწილის (ბ) პუნქტის შესაბამისად დარჩება პატიმრობაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ჰოლანდიის ხელისუფლების მოთხოვნით, არ მოხდება მისთვის მომჩივნის გადაცემა. პალატას არ გააჩნია უფლებამოსილება, გადახედოს [კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის] გადაწყვეტილებას მოწმის ქვეყანაში დაბრუნებისთანავე, მისი დაკვების შესახებ და უნდა აღინიშნოს, რომ 2011 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილებაში პალატამ სტატუტის 68-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე დაყრდნობით უკვე განიხილა თავისი ვალდებულებები კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში [მომჩივნის] დაბრუნებასთან დაკავშირებით.

4. მომჩივნის შუამდგომლობა თავშესაფრის მიღების თაობაზე

25. როგორც უკვე აღინიშნა, 2011 წლის 1 ივნისს, მომჩივანმა თავისი ადვოკატის, ბ-ნი შულერის დახმარებით, ნიდერლანდების ხელისუფლებას თავშესაფრის მინიჭების მოთხოვნით მიმართა. შუამდგომლობაში მითითებული იყო, რომ მომჩივანს, მის მიერ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს წინაშე მისი ქვეყნის პრეზიდენტის სამხედრო დანაშაულებებში მხილების გამო, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაბრუნებისთანავე, მის წინააღმდეგ მოსალოდნელი დევნის ემინოდა.
26. დაუდგენელ დღეს, მომჩივნის ადვოკატის, ბ-ნი შულერის მიერ 2011 წლის 28 სექტემბრის გაგზავნილი წერილის პასუხად, საიმეგრაციო და ნატურალიზაციის სამსახურმა მოიწერა, რომ ვინაიდან მომჩივანი ნიდერლანდების იურისდიქციის ქვეშ არ იმყოფებოდა, მისთვის თავშესაფრის მოთხოვნა შეუძლებელი იყო. ასეთ შემთხვევაში მისი მოთხოვნა განიხილებოდა როგორც დაცვის შესახებ მოთხოვნა,

გაძევების აკრძალვის ფარგლებში, რაც 1951 წლის ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენციისა და კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარეობდა; რა თქმა უნდა, მხედველობაში მიიღებოდა ის, რომ მომჩივანი ნიდერლანდების იურისდიქციის ქვეშ არ იმყოფებოდა. წერილში ასევე ეწერა, რომ მომჩივანს ჩაუტარდებოდა ინტერვიუ.

5. მომჩივნის გათავისუფლების მიზნით ნიდერლანდებში გამართული სამართალწარმოება

(ა) სამართალწარმოება რეგიონალურ სასამართლოში

27. მომჩივანმა, ამტკიცებდა რა, რომ მისი პატიმრობა 2000 წლის უცხო ქვეყნის მოქალაქეთა შესახებ კანონის 59-ე მუხლის შესაბამის ზომას წარმოადგენდა (იხ. ქვემოთ Vreemdelingenwet 2000), საჩივარი ჰააგის რაიონულ სასამართლოში შეიტანა (rechtbank).
28. 2011 წლის 27 ოქტომბერს, შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული სასამართლო განხილვის შედეგად, რაიონულმა სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა. მან დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ნიდერლანდები მომჩივნის დაცვის შესახებ თხოვნის განხილვას აპირებდნენ და ამ მიზნით, მიმართეს საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს, რომ მომჩივანი პატიმრობაში დაეტოვებინათ, ეს არ ნიშნავდა იმას, რომ მომჩივნის დაკავება ნიდერლანდების იურისდიქციის ან კონტროლის ქვეშ უნდა გადასულიყო.

(ბ) სამართალწარმოება სახელმწიფო საბჭოს ადმინისტრაციული იურისდიქციის დივიზიაში (Afdeling bestuursrechtspraak van de Raad van State)

29. მომჩივანმა საჩივარი სახელმწიფო საბჭოს ადმინისტრაციული იურისდიქციის დივიზიაში შეიტანა, რომელმაც 2012 წლის 22 მარტს, შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებულ სასამართლო განხილვის შედეგად, თავისი გადაწყვეტილება გამოიტანა (*National Jurisprudence Number (Landelijk Jurisprudentie Nummer, "LJN")*).
30. ადმინისტრაციული იურისდიქციის დივიზიამ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს გამწესრიგებლის მიერ საგარეო საქმეთა მინისტრისადმი 2011 წლის 19 ოქტომბერს მიწერილი წერილის ციტირება მოახდინა:

„რაც შეეხება დაკავებული მოწმეების კონკრეტულ საკითხს, გამწესრიგებელი ადასტურებს პოზიციას, რომ ოთხი დაკავებული მოწმე, აქედან პირველის საქმე თან ერთვის - პროკურორი თომას ლუბანგა დიილოს წინააღმდეგ საქმეს (ICC 01/04-10/06) [მომჩივანი], დანარჩენი სამი მოწმის - პროკურორი ჟერმენ კატანგა და მეთიუ ნგუჯოლო ჩუის წინააღმდეგ საქმეს (ICC-01/04-01/07), ამჟამად პატიმრობაში კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის განსაკუთრებული უფლებამოსილების ქვეშ იმყოფებიან, ორივე, სასამართლოს პირველი და მეორე პალატის მოთხოვნის საფუძველზე, რომის სტატუტის 93-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, მათი ზეპირი დაკითხვის გასაიოლებლად, სასამართლოს ადგილსამყოფელის შესაბამისად. ეს ადამიანები ამჟამად სასამართლოს პროცედურისა და მტკიცებულებათა რეგლამენტის 192-ე (2) მუხლის თანახმად, კონგოს ხელისუფლებისა და სასამართლოს შორის შეთხმემის საფუძველზე, სასამართლოს პატიმრობაში იმყოფებიან.

...

თავის მხრივ, სასამართლოს პირველმა პალატამ, თავშესაფრის შესახებ შუამდგომლობაზე პასუხის მიღებამდე, მოწმის მიმღები სახელმწიფოს კონტროლქვეშ გადაცემის თაობაზე სამდივნოს ჰოლანდიის ხელისუფლებასთან კონსულტაციის გავლა დაავალა. ყველაფრის გათვალისწინებით, გამწესრიგებელი კვლავ ადასტურებს, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მოსამართლეებს, პატიმრობაში მყოფ ოთხ მოწმეზე მეურვეობის აღების მოთხოვნით, მიმღები სახელმწიფოსთვის არც ერთ ეტაპზე არ მიუმართავთ.“

ადმინისტრაციული იურისდიქციის განყოფილებამ ერთ-ერთ დასკვნაში დაადგინა:

„2.1.6. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქე [მომჩივანი] კონგოს ხელისუფლების ბრძანებით დააპატიმრეს, ხოლო ამჟამად ის საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მოთხოვნითა და პასუხისმგებლობით, სტატუტის 93-ე მუხლის მე-7 ნაწილისა და [საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს პროცედურისა და მტკიცებულებათა რეგლამენტის] 192-ე წესის საფუძველზე, ასევე კონგოს ხელისუფლებისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს შორის შემდგარი შეთანხმების საფუძველზე, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს კონტროლსა და უფლებამოსილების ქვეშ მყოფ საგამოძიებო იზოლატორში იმყოფება.

2.1.7. საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს შესახებ კანონის (იმპლემენტაციის) 88-ე მუხლის თანახმად, ნიდერლანდებში მოქმედი კანონმდებლობა არ ვრცელდება საერთაშორისო სისხლის სასამართლოს ბრძანებების საფუძველზე ნიდერლანდებში დაკავებულ პირებზე, რომლებიც საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს უფლებამოსილებას ექვემდებარებიან. აქედან გამომდინარე, უცხო ქვეყნის მოქალაქის დაკავება არ შეიძლება დაეფუძნოს უცხოელთა შესახებ 2000 წლის კანონის საფუძველზე მინისტრისთვის დელეგირებულ უფლებამოსილებას. რაიონულმა სასამართლომ მართებულად დაადგინა, რომ უცხოელებთან დაკავშირებული (vreemdelingenrechter) საქმეების განხილველი კომპეტენტური სასამართლოები არ არიან უფლებამოსილნი განიხილონ ამ ტიპის დაკავების კანონიერება.

...

6. შემდგომი მოვლენები

31. 2012 წლის 27 სექტემბერს, გამწესრიგებელმა, სასამართლოს პრეზიდენტის მიერ გაცემული უფლებამოსილებით, ნიდერლანდების მთავრობას საჩივრის თაობაზე სასწრაფო შეტყობინება გაუგზავნა (სასამართლო რეგლამენტის მე-40 მუხლი). პასუხად, მთავრობამ სასამართლოს შეატყობინა, რომ 2012 წლის 4 სექტემბერს, მის ადვოკატთან, ბ-ნ შულერთან კონსულტაციის შემდეგ, მომჩივანმა თავშესაფრის შესახებ შუამდგომლობა უკან გამოითხოვა. შუამდგომლობის უკან გამოთხოვის თაობაზე მომჩივნის ფრანგულ ენაზე ხელით ნაწერი წერილის ასლები ოფიციალურ საბუთებთან ერთად თანდართული ჰქონდა მთავრობის პასუხს.

7. პარალელური [ა], [ბ] და [გ] საქმეები

(ა) სამართალწარმოება თავშესაფრის მიღების თაობაზე

32. 2011 წლის 12 მაისს, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოში მიმდინარე სამი სხვადასხვა საქმის ფარგლებში მყოფმა სამმა მოწმემ (პროკურორი ჟერმენ კატანგა და მეთიუ ნგუჯოლო ჩუის წინააღმდეგ (ICC-01/04-01/07)) ნიდერლანდების ხელისუფლებას თავშესაფრის მინიჭების მოთხოვნით მიმართა. ვინაიდან გადაწყვეტილება კანონით დადგენილ ვადებში არ იქნა მიღებული, მათ ფაქტობრივი უარი გაასაჩივრეს (fictieve weigering); 2011 წლის 6 ივნისს მათი საჩივრები დაუშვებლად ცნეს, რის შემდეგაც მოწმეებმა ჰააგის რაიონულ სასამართლოს მიმართეს.
33. რაიონულმა სასამართლომ გადაწყვეტილება 2011 წლის 28 დეკემბერს გამოიტანა. მან უარყო იმიგრაციისა და თავშესაფრის მინისტრის არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ უცხოელების შესახებ 2000 წლის კანონი მომჩივნების თავშესაფრის მოთხოვნაზე არ ვრცელდებოდა. მსგავსი არგუმენტი ვერ დაეფუძნებოდა შტაბ-ბინის მთავარი ადგილსამყოფელის შესახებ ხელშეკრულებას, რომლის მე-8 მუხლი ადგენდა, რომ მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობა იყო რელევანტური, გარდა პირდაპირ განსაზღვრული გამონაკლისის შემთხვევებისა; ასევე არ გამოდგებოდა საერთაშორისო

სისხლის სამართლის სასამართლოს შესახებ კანონის 88-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, ნიდერლანდების ეროვნული კანონმდებლობა არ ვრცელდებოდა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს უფლებამოსილების ქვეშ მყოფ თავისუფლება-აღკვეთილ პირებზე, გარდა უცხოელთა შესახებ 2000 წლის კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რომელიც ამ შემთხვევაში აშკარად არარელევანტური იყო: არც 2000 წლის უცხოელთა შესახებ კანონი ან მისგან გამომდინარე სხვა კანონმდებლობა არაფერს ცვლიდა, რადგან სამი მოწმე ნიდერლანდების ტერიტორიაზე იმყოფებოდა და შესაბამისად, არ შეეძლოთ დაცვის მოთხოვნა სხვა სახელმწიფოსაგან, რომლის ტერიტორიაზეც არ იმყოფებოდნენ ან საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსგან, რომელსაც საკუთარი ტერიტორია არ გააჩნდა. მინისტრს, შესაბამისად, მიეთითა, რომ ექვსი თვის ვადაში მიეღო გადაწყვეტილება მოწმეთა თავშესაფრის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

34. ეს გადაწყვეტილება, რომელიც არ გასაჩივრებულა, შესაბამისად შევიდა ძალაში.
35. 2012 წლის 11 ივნისს, იმიგრაციისა და თავშესაფრის მინისტრმა განაცხადა, რომ ის [ბ] და [გ] მომჩივნებისთვის თავშესაფრის მინიჭებაზე უარს იმ საფუძველით ამბობდა, რომ ისინი ლტოლვილთა სტატუსის შესახებ გაერთიანებული ერების 1951 წლის კონვენციის 1F მუხლის შესაბამისად კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებში იყვნენ ექვმიტანილნი. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, არაფერი თქმულა [ა] მომჩივნის საქმესთან დაკავშირებით.
36. [ბ] და [გ] მომჩივნებმა თავისი კომენტარები წერილობით წარმოადგინეს (zienswijze). მათ საქმეზე გადაწყვეტილება 2012 წლის ოქტომბერში უნდა გამოტანილიყო.

(ბ) სამოქალაქო სამართალწარმოება

37. დაუდგენელ დღეს [ა], [ბ] და [გ]-მ ჰააგის რაიონულ სასამართლოში, სამოქალაქო საქმეებზე დროებითი ზომების მოსამართლეს (voorzieningenrechter) ნიდერლანდების სახელმწიფოს წინააღმდეგ საჩივრით მიმართეს. გამარტივებული სამართალწარმოების ფარგლებში (kort geding) მათ მოითხოვეს, რომ სასამართლოს მიეთითებინა სახელმწიფოსთვის, რომ განეცხადებინა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსთვის თავისი მზაობის შესახებ მომჩივნების საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოდან წამოყვანის თაობაზე და ამ მიზნის შესაბამისი და სტანდარტული გზით კონსულტაციები გაემართათ (overleg).
38. 2012 წლის 26 სექტემბერს, დროებითი ზომების მოსამართლემ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

„3.1. [[ა], [ბ] და [გ]] მომჩივნებმა თავისი საჩივარი დააფუძნეს იმაზე, რომ სახელმწიფოს მხრიდან მათ მიმართ სამართალდარღვევა ხორციელდებოდა (jegens hen onrechtmatig handelt). ასეთ შემთხვევაში, სამოქალაქო სასამართლოების კომპეტენცია, ამ კონკრეტულ საქმეში - გამარტივებული სამართალწარმოების ფარგლებში დროებითი ზომების მოსამართლის კომპეტენცია განიხილოს საჩივარი, დადგენილია. მომჩივანთა საჩივარი, შესაბამისად, ასევე დასაშვებია, რადგან საჩივრის მიზნის მიღწევის სხვა ადეკვატური სამართლებრივი საშუალება არ არსებობს.

3.2. მხარეები ვერ შეთანხმდნენ იმაზე, თუ რამდენად ვალდებულია სახელმწიფო, განუცხადოს საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს, რომ ის მზად არის საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოდან პასუხისმგებლობა აიღოს მომჩივანზე და ამ მიზნით, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსთან დაიწყოს კონსულტაციები.

3.3. სახელმწიფომ განაცხადა, რომ მომჩივნების დაპატიმრების უფლება საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსა და კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის მიღწეულ შეთანხმებაშია ჩედებული და რომ სახელმწიფო მომჩივნებზე იურისდიქციას არ და ვერ განახორციელებს. სახელმწიფოს მონაცემებით, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მოთხოვნით, შეთანხმება შტაბ-ბინის მთავარი ადგილმდებარეობის შესახებ მომჩივნების მხოლოდ

ნიდერლანდების ტერიტორიაზე ტრანსპორტირებას მოითხოვს. საკუთარი პოზიციის დასაცავად სახელმწიფომ დახმარებისთვის მოიხმო, მათ შორის (inter alia), ადმინისტრაციული იურისდიქციის განყოფილება (2012 წლის 22 მარტი, იხ. ზემოთ 29-ე და 30-ე პარაგრაფები) და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს 2009 წლის 9 ივნისის განჩინება (სასამართლო) Galic-ის საქმე (no. 22617/07; Nederlandse Jurisprudentie – Netherlands Law Reports – 2010, no. 267). სახელმწიფო თვლის, რომ ის ფაქტი, რომ მომჩივნებმა თავშესაფრის მინიჭების შესახებ შუამდგომლობა დააყენეს არ ნიშნავს იმას, რომ ნიდერლანდები ვალდებულია (საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსგან) ისინი თავისი უფლებამოსილების ქვეშ აიყვანოს, ვინაიდან თავშესაფრის მინიჭების შესახებ შუამდგომლობის დაყენება არ იძლევა ნიდერლანდების ტერიტორიაზე ყოფნის უფლებას თუ თავშესაფრის მომთხოვნი პირი (verzoeker) სამართლებრივი თვალსაზრისით, სინამდვილეში ნიდერლანდებში არ იმყოფება (juridisch gezien niet in Nederland verblijft). სახელმწიფოს აზრით, მომჩივნებმა თავშესაფრის მინიჭების შესახებ სამართალწარმოების შედეგებს უნდა დაუცადონ. მხოლოდ ამის შემდეგ, სახელმწიფოს დაქვემდებარებაში იქნება საჭირო იმის დადგენა, რამდენად უქმნის დაბრკოლებებს მომჩივნების კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაბრუნებას მე-3 მუხლი. ამასთან დაკავშირებით სახელმწიფომ აღნიშნა, რომ თავშესაფრის მინიჭების შესახებ მოთხოვნის დამუშავებას შესაბამისი დრო სჭირდება და ზემოხსენებულთა ზრახვების გათვალისწინებით [იხ. ზემოთ 35-ე პარაგრაფი] არ არის გამორიცხული, რომ [ბ] და [გ] მომჩივნების თავშესაფრის მინიჭების შესახებ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდეს. სახელმწიფო აღნიშნავს, რომ ვითრებიდან გამომდინარე, ის აწარმოებს დიპლომატიურ კონსულტაციებს, რომელიც დასკვნით ფაზაშია.

დროებითი ზომების მოსამართლე, დაცვის მხარის გათვალისწინებით, აცხადებს შემდეგს:

3.4. რა თქმა უნდა თავისთავად ეს მართებულია, რომ ფორმალურად მომჩივნები საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ განხორციელებული მეურვეობის ქვეშ კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკაში იმყოფებიან, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს პოზიციის გათვალისწინებით არ შეიძლება ვუარყოთ, რომ ამჟამად მომჩივნები ჩიხურ ვითრებაში (პატიმრობაში) იმყოფებიან. 2011 წლის 24 აგვისტოს განჩინებით, [რომლითაც საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო სამდივნოს, ნიდერლანდების მთავრობასთან კონსულტაციების გამართვის თაობაზე აძლევს დავალებას], საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო თავის თავს ვალდებულია მიიჩნევს გაითვალისწინოს სტატუტი და მომჩივნები კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დააბრუნოს, მაგრამ ის, რომ თავშესაფრის მინიჭების თაობაზე სამართალწარმოება ჯერ არ დასრულებულა, სტატუტის 93-ე მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე, ხელს უშლის მათ დაბრუნებას. იმისგან დამოუკიდებლად - თავშესაფრის მინიჭების შესახებ სამართალწარმოებაზე რომ არაფერი ვთქვათ - ზოგადად რამდენად უსაფრთხო იქნება მომჩივნებისთვის კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაბრუნება, ფაქტი რჩება ფაქტად, რომ თავშესაფრის მინიჭების შესახებ შუამდგომლობის შესაძლო დაყენების თვალსაზრისითაც ამ სამართალწარმოების დროული დასრულების პერსპექტივა არ არსებობს. ეს ნიშნავს იმას, რომ 2011 წლის 24 აგვისტოს მდგომარეობით, მომჩივნები უკანონოდ არიან დაპატიმრებულნი (zich niet meer in een rechtmatige vorm van detentie bevinden). მათ გათავისუფლების ან გონივრულ ვადაში სამართალწარმოების დასრულების არანაირი პერსპექტივა არ გააჩნიათ და გაურკვეველია, მიაღწევენ თუ არა ისინი კომპეტენტური ორგანოების მიერ მათი პატიმრობის კანონიერების შესწავლას. არც საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს, არც კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შექმნილი ვითარებიდან გამოსავლის პოვნა არ ძალუძთ.

3.5. იმ არგუმენტის გაზიარება, რომ სახელმწიფოს მომჩივნებზე იურისდიქცია არ გააჩნია, შეუძლებელია. სახელმწიფო აღნიშნავს, რომ მხოლოდ სახელმწიფო საბჭოს ადმინისტრაციული იურისდიქციის განყოფილების გადაწყვეტილებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მომჩივნების პატიმრობა არ შეიძლება ეფუძნებოდეს განხორციელებას ან ნაგულვეტ განხორციელებას, უფლებამოსილებას, დაფუძნებულს 2000 წლის ლტოლვილთა შესახებ კანონს, რომელიც მართებულია. ეს არანაირ გავლენას არ ახდენს იმაზე, რომ სახელმწიფოს შესაძლოა ჰქონდეს იურიდიული ვალდებულება მომჩივნების საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს უფლებამოსილებიდან თავის უფლებამოსილების ქვეშ გადმოყვანისა.

3.6. ამის Galic-ის საქმესთან შედარება უადგილოა. იმ საქმესთან დაკავშირებით სასამართლომ დაადგინა, რომ ის ფაქტი, რომ ყოფილი იუგოსლავიის შესახებ საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალი ნიდერლანდებში მდებარეობდა, არ იყო საკმარისი საიძისოდ, რომ ნიდერლანდებს შერაცხოდა მომჩივნების უფლებების ნაგულები დარღვევა. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ დაადგინა შემდეგი:

11 გადაწყვეტილება საქმეზე ბედე ჯოკაბა ლამში ლონგა ნიდერლანდების წინააღმდეგ

„ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს არ შეუძლია იმის დადგენა, რომ მხოლოდ ის ფაქტი, რომ ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალს ჰააგაში თავისი ადგილი და შენობა გააჩნია, არის საკმარისი საფუძველი ნიდერლანდების სამეფოში საჩივრის შეტანის. ამ დასკვნის გაკეთების შემდეგ სასამართლომ მის წინაშე წამოჭრილი საკითხი კონკრეტულ კონტექსტში განიხილა. სასამართლო ხაზს უსვამს, რომ მოცემული საქმე ეხება საერთაშორისო ტრიბუნალს, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭოს მიერაა დაარსებული, ეს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციაა, უფრო მეტიც, ძირითადი სამართლებრივი დებულებები, რომლებიც მართავენ ტრიბუნალის ორგანიზაციასა და პროცედურას მიზანმიმართულად ბრალდებული პირების შესაბამისი გარანტიებით უზრუნველსაყოფად გამოიმუშავეს.“

Galic-ის საქმისგან განსხვავებით, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შექმნილი საერთაშორისო ტრიბუნალის დებულებების შესაბამისად გასამართლებულ ექვმიტანილს ეხებოდა და ტრიბუნალის (პროცედურული) გარანტიების გამოყენება შეეძლო, მოცემული საქმე ეხება გაეროს სხვა სასამართლოს წინაშე წარმდგარ მოწმეებს, მათი პატიმრობის გათვალისწინებით, ფაქტობრივად არ შეუძლია იმ ტრიბუნალის გარანტიების გამოყენება როგორც ეს საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ დაკავებული პოზიციიდან ხდება ნათელი. ამ ვითარებაში, არ შეიძლება იმის გამორიცხვა, რომ ნიდერლანდების ტერიტორიაზე საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს ადგილსამყოფელი სთავაზობს საკმარის კავშირებს იმის სავარაუდოდ, რომ ნიდერლანდებს იურისდიქცია გააჩნია.

3.7. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ნიდერლანდებში თავშესაფრის მინიჭების შესახებ სამართალწარმოებიდან გამომდინარე, მომჩივნებს კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაბრუნება არ შეუძლიათ. შესაძლებელია, რომ თავშესაფრის მინიჭების შესახებ შუამდგომლობებმა საერთაშორისო სამართლის ფარგლებით გათვალისწინებული სისტემა დაანგრიონ (*doorkruisen*), მაგრამ სახელმწიფო ვალდებულია [ამსტერდამში განლაგებული] ამ სასამართლოს განჩინების საფუძველზე [2011 წლის 28 დეკემბერი, იხ. ზემოთ 33-ე პარაგრაფი] - რომლის წინააღმდეგ მას არ მიუმართავს - განიხილოს მომჩივანთა თავშესაფრის შესახებ შუამდგომლობა. მომჩივნებს თავშესაფრის მოთხოვნის გამო ბრალს ვერ წაუყენებენ.

3.8. თუ არ გავიზიარებთ დაცვის მხარის პოზიციის სისწორეს იმასთან დაკავშირებით, რომ თავშესაფრის მინიჭების შესახებ იმ პირების მიერ დაყენებული შუამდგომლობა, რომლებიც ნიდერლანდებში (მის იურისდიქციის ქვეშ) არ იმყოფებიან არ აძლევს მათ უფლებას ნიდერლანდებში ყოფნისა, რჩება ფაქტად, რომ სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს მომჩივნების ბედეზე და არ უნდა დატოვოს საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს უფლებამოსილების ქვეშ იმ დროს, როცა 2000 წლის უცხოელთა შესახებ კანონის შესაბამისად თავშესაფრის მინიჭების შესახებ პროცედურები მიმდინარეობს და როდის დასრულდება, უცნობია. ამიტომ სახელმწიფომ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსთან კონსულტაციები უნდა გამართოს, რათა მომჩივნების უკანონო პატიმრობას ბოლო მოეღოს.

3.9. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მომჩივანთა საჩივარი დაიშვება შემდეგნაირად. ვადა, რომელშიც სახელმწიფომ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსთან კონსულტაციები უნდა გამართოს იქნება ოთხი კვირა, რაც სახელმწიფოს სათანადო მომზადების საშუალებას მისცემს. იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივნების შუამდგომლობის დასაშვებად ცნობის შემდეგ, სახელმწიფო შიშობს, რომ ისინი დაემალებიან მართლმსაჯულებას (*in de illegaliteit zullen verdwijnen*), სათანადო პრევენციული ზომების მიღება მისი პრეროგატივაა.

39. ჯერ კიდევ უცნობია, გაასაჩივრა თუ არა სახელმწიფომ ეს გადაწყვეტილება.

ბ. რელევანტური შიდა კანონმდებლობა

40. საქმის გარემოებებთან რელევანტური შიდა საკანონმდებლო დებულებები შემდეგნაირია:

1. ნიდერლანდების სამეფოს კონსტიტუცია (*Grondwet voor het Koninkrijk der Nederlanden*)

მუხლი 93

„საერთაშორისო დაწესებულებების ხელშეკრულებათა და რეზოლუციათა დებულებები, მათი შინაარსიდან გამომდინარე, მათი გამოქვეყნების მომენტიდან ხდება სავალდებულო ყველა პირისთვის“.

მუხლი 94

„სამეფოს ფარგლებში მოქმედი ნორმატიული აქტები არ მოქმედებს, თუ მათი გამოყენება ეწინააღმდეგება ხელშეკრულებების დებულებებს, რომელიც სავალდებულოა ყველა პირისათვის და საერთაშორისო ორგანიზაციების რეზოლუციებისთვის.“

2. ზოგადი ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი (*Algemene wet bestuursrecht*)

ნაწილი 8.1

„1. ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს (*belanghebbende*) ადმინისტრაციული გადაწყვეტილება (*besluit*) რეგიონალურ სასამართლოში შეუძლია გაასაჩივროს...“

3. 2000 წლის კანონი უცხოელების შესახებ

ნაწილი 59

„1. საზოგადოებრივი წესრიგისა და ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, [კომპეტენტურ მინისტრს] გაძევების მიზნით (*uitzetting*) შეუძლია გასცეს უცხოელი მოქალაქის დაპატიმრების ბრძანება, რომელიც:

(ა) არალეგალია;...“

ნაწილი 93

„1....[ა] ამ კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად [59-ე ნაწილის ჩათვლით] მიღებული ზომები გულისხმობს იმას, რომ რომელიმე პირის თავისუფლების შეზღუდვა ან აღკვეთა, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის 8.1 ნაწილის გამოყენების მიზნით, უნდა იყოს გაიგივებული ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებასთან. ...“

4. საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს შესახებ კანონი (*Uitvoeringswet Internationaal Strafhof*)

ნაწილი 45

1. საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს ნებისმიერი სახით თანამშრომლობის შესახებ მოთხოვნა, როგორც ამ სტატუტში 93-ე მუხლშია მითითებული, უნდა შესრულდეს სურვილისამებრ, შეძლებისდაგვარად...“

ნაწილი 85

...

2. იმ პირთა გადაყვანა [ექვმიტანილების გარდა] ვინც ნიდერლანდებში საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მოთხოვნის საფუძველზე ჩამოიყვანეს ან თავად ჩამოვიდნენ, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მითითებითა და მინისტრის მიერ [იუსტიციის

13 გადაწყვეტილება საქმეზე ბედე ჯოკაბა ლამში ლონგა ნიდერლანდების წინააღმდეგ

(Minister van Justitie)] დანიშნული ნიდერლანდების ოფიციალურ პირთა დაცვის ქვეშ განხორციელდება.

3. საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს ბრძანების საფუძველზე თავისუფლება აღკვეთილ პირთა შენობის გარეთ ტრანსპორტირება საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს უფლებამოსილების ქვეშ (buiten de onder het gezag van het Strafhof staande ruimten), საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მითითებითა და მინისტრის [იუსტიციის] მიერ დანიშნულ ნიდერლანდების ოფიციალურ პირთა დაცვის ქვეშ განხორციელდება.

4. ამ ნაწილში ხსენებული ოფიციალური პირები უფლებამოსილნი არიან მიიღონ ნებისმიერი ზომა პირთა უსაფრთხოების დასაცავად და მათი გაქცევის თავიდან ასაცილებლად.

ნაწილი 86

„1. იმ პირთა ტრანზიტი (გადაყვანა), რომელთა გადაცემა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ უცხო ქვეყნის ხელისუფლებისთვის უნდა მოხდეს, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მითითებითა და მინისტრის [იუსტიციის] მიერ დანიშნულ ნიდერლანდების ოფიციალურ პირთა დაცვის ქვეშ განხორციელდება.

2. ამ ნაწილში ხსენებული ოფიციალური პირები უფლებამოსილნი არიან მიიღონ ნებისმიერი ზომა პირთა უსაფრთხოების დასაცავად და მათი გაქცევის თავიდან ასაცილებლად.

ნაწილი 87

„1. თუ მოწმეები, ექსპერტები, დაზარალებული ან სხვა პირები განურჩევლად მათი ეროვნებისა, რომლებიც ნიდერლანდებში საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს სასამართლო უწყების ან დაპატიმრების ორდერის საფუძველზე (dagvaarding of oproeping) ჩამოვლენ, ან საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ ნიდერლანდებში დაშვების შესახებ მოთხოვნის პასუხად..., მათზე არ უნდა ვრცელდებოდეს სასამართლო დევნა, პატიმრობა ან თავისუფლების შეზღუდვის სხვა რაიმე ფორმა, რაც დაკავშირებულია იმ ფაქტებთან და შეხედულებებთან, რაც წინ უსწრებდა მათ ნიდერლანდებში ჩამოსვლას.

2. პირველ პარაგრაფში ნახსენები ხელშეუხებლობა (იმუნიტეტი) კარგავს ძალას, თუ კონკრეტული პირი, რომლის იქ ყოფნას სართაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო აღარ საჭიროებს, 15 კალენდარული დღის განმავლობაში არ დატოვებს ქვეყანას ან მისი დატოვების შემდეგ კვლავ დაბრუნდება.

ნაწილი 88

„ნიდერლანდების კანონი არ ვრცელდება ნიდერლანდებში საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს უფლებამოსილების ქვეშ მყოფი შენობების (ფართების) ფარგლებში საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ თავისუფლების შეზღუდვის შესახებ გაცემულ ბრძანებულებებზე.“

გ. საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსთან დაკავშირებული შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები

41. ამ ნაწილში გამოყენებული ტერმინი „სასამართლო“, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს აღნიშნავს.

1. საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს რომის სტატუტი

მუხლი 3

სასამართლოს ადგილსამყოფელი

1. სასამართლოს ადგილსამყოფელია, ქ. ჰააგა, ნიდერლანდები ("მასპინძელი სახელმწიფო").
2. სასამართლო მასპინძელ სახელმწიფოსთან დებს შეთანხმებას შტაბ-ბინის მთავარი ადგილსამყოფელის შესახებ, რომელსაც ამტკიცებს მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეა და შემდგომში დებს სასამართლოს თავმჯდომარე სასამართლოს სახელით.
3. თუ სასამართლო ჩათვლის მიზანშეწონილად, შეუძლია შეიკრიბოს ნებისმიერ სხვა ადგილას, რომელიც გათვალისწინებულია ამ წესდებით.

მუხლი 4

სასამართლოს სამართლებრივი სტატუსი და უფლებამოსილება

1. სასამართლო არის საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. მას გააჩნია ის უფლებაუნარიანობა, რაც საჭიროა მისი ფუნქციების განხორციელებისა და მიზნების მიღწევისთვის.
2. სასამართლოს შეუძლია, ამ წესდების შესაბამისად, განახორციელოს თავისი ფუნქციები და უფლებამოსილება ნებისმიერი მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ხოლო სპეციალური შეთანხმების საფუძველზე — ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

მუხლი 21

გამოყენებადი სამართალი

- „1. სასამართლო ხელმძღვანელობს:
- (ა) პირველ რიგში, წინამდებარე წესდებით, დანაშაულის ელემენტებით და პროცედურისა და მტკიცებულების თავისი წესებით;
 - (ბ) მეორე რიგში, შესაბამის შემთხვევაში, არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საერთაშორისო სამართლის პრინციპებითა და წესებით, მათ შორის შეიარაღებული კონფლიქტების საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებით;
 - (გ) თუ ეს შეუძლებელია, სასამართლო იყენებს მსოფლიოს სამართლებრივი სისტემების, მათ შორის იმ სახელმწიფოთა ეროვნული კანონებიდან ამოკრებილ სამართლის საერთო პრინციპებს, რომლებიც ჩვეულებრივ გარემოებებში განახორციელებდნენ იურისდიქციას მოცემულ დანაშაულზე, იმ პირობით, რომ ეს პრინციპები არ ეწინააღმდეგება წინამდებარე წესდებას, საერთაშორისო სამართალსა და საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და სტანდარტებს.
2. სასამართლოს შეუძლია სამართლის პრინციპებისა და წესების იმგვარი ინტერპრეტაციით გამოყენება, როგორც ეს მოახდინა თავის წინა გადაწყვეტილებებში.
3. სამართლის გამოყენება და განმარტება ამ მუხლის შესაბამისად არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საყოველთაოდ აღიარებულ ადამიანის უფლებებს და არ უნდა ეფუძნებოდეს რაიმე არაკეთილგონივრულ განსხვავებას ისეთი მოტივებით, როგორიცაა სქესი (როგორც ეს განსაზღვრულია მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით), ასაკი, რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია ან სარწმუნოება, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებანი, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური წარმოშობა, მატერიალური, , წოდებრივი ან სხვა მდგომარეობა.

მუხლი 43

სამდივნო

“...

6.მდივანი სამდივნოს შემადგენლობაში ქმნის დაზარალებულთა და მოწმეთა დახმარების ჯგუფს. ჯგუფი, პროკურორის კანცელარიასთან შეთანხმებით, უზრუნველყოფს დაცვის ღონისძიებებს და უსაფრთხოების პროცედურებს, საკონსულტაციო და სხვა შესაბამისი დახმარების გაწევას მოწმეებისა და დაზარალებულთათვის, რომლებიც გამოცხადდნენ სასამართლოში და სხვა პირთათვის, რომელთაც მოწმეთა მიერ ჩვენების მიცემა საფრთხეში აყენებს. ჯგუფი შედგება თანამშრომლებისგან, რომელთაც აქვთ ტრავმების, მათ შორის სქესობრივ ძალადობასთან დაკავშირებული ტრავმების, საკითხებზე მუშაობის გამოცდილება.“

მუხლი 68

დაზარალებულთა და მოწმეთა დაცვა და მათი სამართალწარმოებაში მონაწილეობა

1. სასამართლო იღებს სათანადო ზომებს, რათა დაიცვას მსხვერპლთა და დაზარალებულთა უსაფრთხოება, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა, ღირსება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. ამ ფუნქციის განხორციელებისას სასამართლო მხედველობაში იღებს საქმესთან დაკავშირებულ ყველა ფაქტორს, მათ შორის ასაკს, გენდერულ ფაქტორს, როგორც ეს განსაზღვრულია მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით და ჯანმრთელობის მდგომარეობას, აგრეთვე დანაშაულის ხასიათს, განსაკუთრებით, როდესაც დანაშაული შეიცავს სექსუალურ ძალადობას, სქესობრივ ძალადობას ან ძალადობას ბავშვების წინააღმდეგ, ოღონდ არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ამ გარემოებებით. პროკურორი იღებს ამგვარ ზომებს განსაკუთრებით აღნიშნული დანაშაულის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას. ეს ღონისძიებები ზიანს არ უნდა აყენებდეს ან ეწინააღმდეგებოდეს ბრალდებულის უფლებებს და სამართლიანი და მიუკერძოებელი სასამართლო წარმოების პრინციპებს.

...

3. თუ დაზარალებულთა პირად ინტერესებს ადგება ზიანი, სასამართლო ნებას რთავს, მათი მოსაზრებები და ინტერესები წარმოდგენილი და განხილული იქნას სასამართლო განხილვის იმ ეტაპზე, რომელზეც სასამართლო საჭიროდ ჩათვლის და ისეთი ფორმით, რაც ზიანს არ აყენებს ან არ ეწინააღმდეგება ბრალდებულის უფლებებსა და სამართლიან და მიუკერძოებელ სასამართლო წარმოებას. თუ სასამართლო გასამართლებლად ჩათვლის, ამგვარი მოსაზრებები და ეჭვები შეიძლება ჩამოაყალიბონ დაზარალებულთა კანონიერმა წარმომადგენლებმა, პროცედურისა და მტკიცების წესების შესაბამისად.

4. დაზარალებულთა და მოწმეთა დახმარების ჯგუფს შეუძლია პროკურორსა და სასამართლოს შესთავაზოს დაცვის ზომები, უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცედურები, გაუწიოს კონსულტაცია და სხვაგვარი დახმარება, როგორც ეს მითითებულია 43-ე მუხლის მე-6 პუნქტში.

...“

მუხლი 93

თანამშრომლობის სხვა ფორმები

1. მონაწილე სახელმწიფოები, ამ ნაწილის დებულებების შესაბამისად და ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების თანახმად, ასრულებენ სასამართლოს თხოვნას გამოძიებასთან ან სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით შემდეგი დახმარების გაწევის შესახებ:

...

(ე) სასამართლოს წინაშე, მოწმეთა და ექსპერტთა სახით, პირთა ნებაყოფლობით გამოცხადებისთვის ხელის შეწყობა;

(ფ) პირთა დროებითი გადაცემა, როგორც ეს მე-7 პუნქტით არის გათვალისწინებული;

(ი) დაზარალებულთა და მოწმეთა დაცვა და მტკიცებულებათა შენახვა;

...

(კ) დახმარების ნებისმიერი სხვა ფორმა, რომელიც არ არის აკრძალული თხოვნის მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობით, სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ხელშეწყობის მიზნით.

7.(ა) სასამართლოს შეუძლია ითხოვოს პატიმრობაში მყოფი პირის დროებით გადმოცემა ამოცნობის, ჩვენებათა მიცემისათვის ან სხვაგვარი დახმარებისათვის. პირი შეიძლება გადასცენ სასამართლოს, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

(ი) პირი თავისუფლად აძლევს შეგნებულ თანხმობას გადმოცემაზე; და

(იი) თხოვნის მიმღები სახელმწიფო თანახმაა გადაცემაზე, იმ პირობებით, რომელთა თაობაზეც შეიძლება შეთანხმდნენ ეს სახელმწიფო და სასამართლო.

(ბ) გადაცემული პირი უნდა დარჩეს პატიმრობაში. მას შემდეგ, რაც მიღწეულია გადაცემის მიზნები, სასამართლომ დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნოს პირი თხოვნის მიმღებ სახელმწიფოს. ...“

მუხლი 119 **დავის გადაწყვეტა**

1. სასამართლოს ფუნქციებთან დაკავშირებული ყველა დავა წყდება სასამართლოს გადაწყვეტილებით.

2. ნებისმიერი სხვა დავა ორ ან მეტ მონაწილე სახელმწიფოს შორის ამ წესდების განმარტების ან გამოყენების თაობაზე, რომელიც ვერ გადაწყდა მოლაპარაკების გზით მისი დაწყებიდან სამი თვის განმავლობაში, განსახილველად გადაეცემა მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეას. ასამბლეას თვითონ შეუძლია მიიღოს ზომები დავის გადაწყვეტისათვის ან გასცეს რეკომენდაციები დავის გადაწყვეტის შემდგომი საშუალებების თაობაზე, მათ შორის დავის საერთაშორისო სასამართლოსადმი გადაცემის თაობაზე ამ სასამართლოს წესდების შესაბამისად.

2. საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსა და მასპინძელ სახელმწიფოს შორის შეთანხმება შტაბ-ბინის მთავარი ადგილსამყოფელის შესახებ

მუხლი 8 **კანონი და უფლებამოსილება სასამართლოს შენობაში**

„1. ამ შეთანხმების თანახმად, სასამართლოს შენობა სასამართლოს კონტროლისა და უფლებამოსილების ქვეშაა.

2. თუ ამ შეთანხმებაში სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული, მასპინძელი ქვეყნის კანონები და დადგენილებები (რეგულაციები) სასამართლოს შენობებში უნდა გამოიყენებოდეს.“

მუხლი 26 **მოწმეები**

„1. მოწმეები სარგებლობენ პრივილეგიებით - იმუნიტეტითა და შეღავათებით იმ მოცულობით, რაც აუცილებელია სასამართლოში ჩვენების მისაცემად...“

(ა)პერსონალური დაპატიმრებისგან, დაკავებისგან ან თავისუფლების ნებისმიერი სახით შეზღუდვისგან იმუნიტეტი მათ ქმედებებთან და მრწამსთან დაკავშირებით მასპინძელ სახელმწიფოს ტერიტორიაზე შემოსვლამდე; ...

(ე) მათ მიერ მიცემულ ჩვენებებთან დაკავშირებით სასამართლოსთან და ადვოკატთან კომუნიკაციის მიზნით, ნებისმიერი ფორმით საბუთებისა და სხვა ქაღალდების გაგზავნის უფლება;

17 გადაწყვეტილება საქმეზე ბედე ჯოკაბა ლაშვი ლონგა ნიდერლანდების წინააღმდეგ

(ვ) ჩვენების მიცემის მიზნით გამგზავრებისას, იმიგრაციისა და უცხოელთა რეგისტრაციაზე შეზღუდვებისგან გათავისუფლება;

(ზ)საერთაშორისო კრიზისის დროს ვენის კონვენციის შესაბამისად დიპლომატიური აგენტებისთვის მინიჭებული იგივე რეპატრაციის შეღავათები.

...

5. მოწმეები მასპინძელი სახელმწიფოს მხრიდან არ უნდა დაექვემდებარონ რაიმე სახის ზომას, რაც მათ სასამართლოს წინაშე წარდგომას ან ჩვენების მიცემას შეუშლის ხელს.“

მუხლი 34

თანამშრომლობა კომპეტენტურ ორგანოებთან

„1. სასამართლო მასპინძელი სახელმწიფოს კანონების დაცვისა და მხარდაჭერის მიზნით თანამშრომლობს კომპეტენტურ ორგანოებთან, პოლიციის მიერ გაცემული ინსტრუქციების (რეგულაციების) განსახორციელებლად, ამ შეთანხმების ფარგლებში მინიჭებული პრივილეგიების, იმუნიტეტისა და შეღავათების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად.

2. მასპინძელი სახელმწიფოს საზოგადოებრივი წესრიგისა და ეროვნული უსაფრთხოების გათვალისწინებით, სასამართლო და მასპინძელი სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობენ.

3. მათი პრივილეგიების, იმუნიტეტისა და შეღავათების ხელყოფის გარეშე ყველა პირმა, ვინც ამ პრივილეგიებით, იმუნიტეტითა და შეღავათებით სარგებლობს, პატივი უნდა სცეს მასპინძელი სახელმწიფოს კანონებსა და წესებს. მათ ევალებათ არ ჩაერიონ მასპინძელი სახელმწიფოს საშინაო საქმეებში.

4. სასამართლო თანამშრომლობს იმ კომპეტენტურ ორგანოებთან, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ჯანმრთელობაზე, სამუშაო ადგილებზე უსაფრთხოებაზე, ელექტრონულ კავშირგაბმულობასა და სახანძრო უსაფრთხოებაზე.

5. სასამართლო მასპინძელ სახელმწიფოსთან შეთანხმებისამებრ უსაფრთხოების სფეროში ყველა დირექტივას, ასევე სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი ყველა კომპეტენტური ორგანოების მითითებებს იცავს.

6. მასპინძელი სახელმწიფო ყველა ძალას იხმარს, რათა სასამართლოს მიაწოდოს ინფორმაცია შემოთავაზებულ ან ძალაში შესულ კანონსა თუ ნორმის (რეგულაციის) შესახებ, რომელიც უშუალოდ სასამართლოს ან იქ მომუშავე ოფიციალური პირების პრივილეგიებთან, იმუნიტეტთან, შეღავათებთან, უფლებებთან და მოვალეობებთან იქნება დაკავშირებული.

მუხლი 44

დაპატიმრებულ პირთა ტრანსპორტირება

„1. სასამართლოს მოთხოვნის გათვალისწინებითა და მასთან შეთანხმებით, მასპინძელ სახელმწიფოში ჩამოსვლის ადგილიდან სასამართლოს შენობამდე დაპატიმრებულ პირთა ტრანსპორტირებას კომპეტენტური ორგანოები ახორციელებენ.

2. სტატუტისა და პროცედურებისა და მტკიცებულებათა წესების შესაბამისად, სასამართლოს შენობიდან მასპინძელი სახელმწიფოდან გამგზავრების ადგილამდე დაპატიმრებული პირის ტრანსპორტირებას, სასამართლოს მოთხოვნის გათვალისწინებითა და მასთან შეთანხმებით, კომპეტენტური ორგანოები ახორციელებენ.

3. მასპინძელ სახელმწიფოში, დაპატიმრებული პირის სასამართლოს შენობის გარეთ ნებისმიერ ტრანსპორტირებას, სასამართლოს მოთხოვნის გათვალისწინებითა და მასთან შეთანხმებით, კომპეტენტური ორგანოები ახორციელებენ.

...

3. პროცედურებისა და მტკიცებულებათა წესები

მუხლი 16

სამდივნოს ვალდებულებები დაზარალებულთან და მოწმებთან მიმართებაში

“... 2. დაზარალებულთან, მოწმებთან და სხვა პირებთან მიმართებაში, რომლებსაც მოწმეების მიერ მიცემული ჩვენებებიდან გამომდინარე საფრთხე ემუქრებათ, სტატუტისა და ამ წესების შესაბამისად, სამდივნო ვალდებულია შეასრულოს შემდეგი ფუნქციები:

(ა) სტატუტისა და წესების შესაბამისად დროულად მიაწოდონ ინფორმაცია მათი უფლებების შესახებ, ასევე დაზარალებულთა და მოწმეთა ჯგუფის არსებობის, მისი ფუნქციებისა და ხელმისაწვდომობის შესახებ.

(ბ) კონფიდენციალობის შესახებ დებულებების გათვალისწინებით, მათი დროული ინფორმირება სასამართლოს მიერ გამოტანილი შესაბამისი გადაწყვეტილების შესახებ, რომელსაც მათ ინტერესებზე გავლენის მოხდენა შეუძლია.

...

4. სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფი ტრამპირებული ან მუქარის ქვეშ მყოფ დაზარალებულთა, მოწმეთა ან სხვა პირთა, რომლებსაც მოწმეების მიერ მიცემული ჩვენებების შედეგად საფრთხე ემუქრებათ, გადაადგილების ან მათთვის დახმარების აღმოჩენის შესახებ შეთანხმებები სახელმწიფოსა და სასამართლოს სამდივნოს შორის მოლაპარაკების საგანი უნდა გახდეს. მსგავსი შეთანხმებები შესაძლოა გახდეს კონფიდენციალური.“

მუხლი 17

ჯგუფის ფუნქციები

„1. 43-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, დაზარალებულთა და მოწმეთა ჯგუფი ახორციელებს თავის ფუნქციებს.

2. დაზარალებულთა და მოწმეთა ჯგუფი, მათ შორის, სტატუტისა და წესების შესაბამისად, პალატასთან, პროკურორთან და დაცვასთან კონსულტაციის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

(ა)რაც შეეხება ყველა მოწმეს, მსხვერპლსა და სხვა პირებს, ვინც სასამართლოს წინაშე წარდგა და მათ მიერ მიცემული ჩვენებების შედეგად საფრთხე ემუქრებათ, მათი კონკრეტული საჭიროებებისა და გარემოებების შესაბამისად:

(I) მათი დაცვისა და უსაფრთხოების ადეკვატურ ზომებს ატარებს და მათ დასაცავად გრძელ და მოკლევადიან გეგმებს გამოიმუშავებს;

(II) სასამართლოს ორგანოებს დაცვითი ზომების მიღების თაობაზე რეკომენდაციას აძლევს და ასევე შესაბამის სახელმწიფოებს მიღებული ზომების შესახებ აცნობებს;

(III) სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სხვა სახის შესაბამისი დახმარების მიღებაში ეხმარება;

(IV) ტრამპების, სექსუალური ძალადობის, უსაფრთხოებისა და კონფიდენციალობის დაცვის საკითხებზე სასამართლოსთვის და მხარეებისთვის აწყობს თრეინინგებს (ინსტრუქტაჟს);

19 გადაწყვეტილება საქმეზე ბედე ჯოკაბა ლაშვი ლონგა ნიდერლანდების წინააღმდეგ

(V) პროკურატურასთან კონსულტაციების შემდეგ, ქვეყნის კოდექსის გამომუშავების რეკომენდაციას აძლევს, ხაზს უსვამს სასამართლოს მოთხოვნის თანახმად მოქმედი სასამართლოს გამომძიებელთა, დაცვის მხარისა და ყველა მთავრობათაშორისი და არასამთავრობო ორგანიზაციათა უსაფრთხოებისა და კონფიდენციალობის დაცვის სასიცოცხლო მნიშვნელობას.

(VI) სახელმწიფოებთან თანამშრომლობა, სადაც ეს აუცილებელია, ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ყველა ზომის უზრუნველყოფით;

(ბ) მოწმეებთან მიმართებაში:

(ი) მათთვის რჩევის მიცემა - უფლებების დაცვის მიზნით სად შეიძლება იურიდიული დახმარების მიღება, კერძოდ, მათ მიერ მიცემულ ჩვენებებთან დაკავშირებით;

(იი) სასამართლოს წინაშე ჩვენებების მისაცემად გამოძახებისას ეხმარება მათ...”

მუხლი 87 დამცავი ზომები

„1. პროკურორის ან დაცვის მხარის შუამდგომლობით, ან მოწმის ან დაზარალებულის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის (თუ ასეთი ჰყავს), ან საკუთარი შუამდგომლობით, დაზარალებულთა და მოწმეთა ჯგუფთან კონსულტაციის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, 68-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის შესაბამისად, პალატას შეუძლია მიიღოს ზომები დაზარალებულთა, მოწმეთა ან სხვა პირთა დასაცავად, თუ მოწმის მიერ მიცემული ჩვენების გამო მათ საფრთხე ემუქრებათ. პალატა შეძლებისდაგვარად შეეცდება, დაცვის ზომების გატარებაზე მიიღოს თანხმობა იმ პირისგან, ვინც ასეთ დაცვას საჭიროებს ...“

მუხლი 88 საგანგებო ზომები

„1. პროკურორის ან დაცვის მხარის შუამდგომლობით, ან მოწმის ან დაზარალებულის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის (თუ ასეთი ჰყავს), ან საკუთარი შუამდგომლობით, დაზარალებულთა და მოწმეთა ჯგუფთან კონსულტაციის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, 68-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის შესაბამისად, დაზარალებულის ან მოწმის აზრის გათვალისწინებით, პალატას შეუძლია გასცეს განკარგულება საგანგებო ზომების მიღების შესახებ, მაგრამ ამით არ შემოიფარგლოს, მიიღოს ზომები ტრამპირებული დაზარალებულის ან მოწმის, ბავშვის, ხანდაზმული პირის ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლის მიერ ჩვენების მიცემისას მათთვის დახმარების გაწევის თაობაზე. პალატა შეძლებისდაგვარად შეეცდება დაცვის ზომების გატარებაზე მიიღოს თანხმობა იმ პირისგან, ვის მიმართაც დაცვის ზომები გასატარებელი...”

2. პალატას პირველი ქვეპუნქტის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, შუამდგომლობის მოსმენა შეუძლია დახურულ სხდომაზე ან ცალმხრივად *ex parte*, რათა დაადგინოს, საჭიროა თუ არა საგანგებო ზომების მიღება, მათ შორის რათა ადვოკატს, კანონიერ წარმომადგენელს, ფსიქოლოგს ან ოჯახის წევრს მიეცეს საშუალება დაესწროს დაზარალებულის ან მოწმის ჩვენებას...”

მუხლის 192 პირის დაპატიმრება

„1. [რომის სტატუტის] 93-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, დაპატიმრებული პირის სასამართლოსთვის გადაცემა უნდა მოხდეს ეროვნული ხელისუფლების, სასამართლო გამწესრიგებლისა და მასპინძელი სახელმწიფოს ურთიერთკავშირის საფუძველზე.

2. პირის გადაცემას სათანადო წესის მიხედვით გამწესრიგებელი უზრუნველყოფს, მათ შორის, სასამართლო პატიმრობაში ყოფნის პერიოდში მასზე ზედამხედველობას.

3. სასამართლომდე, პატიმრობაში მყოფ პირს შესაბამისი პალატის წინაშე მისი პატიმრობის პირობების შესახებ საკითხის დაყენების უფლება გააჩნია.

4. [რომის სტატუტის] 93-ე მუხლის მე-7 ნაწილის (ბ) პუნქტის შესაბამისად, მას შემდეგ, რაც მიღწეულია გადაცემის მიზნები, სასამართლომ დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნოს პირი თხოვნის მიმღებ სახელმწიფოს.

4. სამდივნოს წესები

წესი 96 დაცვის პროგრამა

„1. სამდივნო მოწმეთა დაცვის პროგრამის მხარდასაჭერად ყველა აუცილებელ ზომას მიმართავს, მათ შორის, თანმხლებ თუ სხვა პირთა დაცვას, რომლებსაც სასამართლოსთან კონტაქტისა ან მოწმეების მიერ მიცემული ჩვენებების გამო ზიანის მიყენების და/ან სიკვდილის საფრთხე ემუქრებათ.

2. მოწმეთა დაცვის პროგრამაში ჩართვის შესახებ განცხადება პროკურორს ან ადვოკატს შემოაქვს.

3. 68-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების გარდა, დაცვის პროგრამაში ჩართვის შეფასებისას, სამდივნო ითვალისწინებს, მათ შორის, შემდეგს:

(ა) პირის სასამართლო პროცესში ჩართულობას;

(ბ) რამდენად შესაძლებელია, რომ პირი ან მისი ნათესავი სასამართლო პროცესში მათი მონაწილეობის გამო საფრთხის ქვეშ აღმოჩნდნენ; და

(გ) თანახმაა თუ არა პირი დაცვის პროგრამაში ჩაერთოს.

4. დაცვის პროგრამაში ჩართულობის საკითხს სამდივნო მე-3 ქვე-პუნქტის შესაბამისად გაკეთებული შეფასების შემდეგ გადაწყვეტს.

5. დაცვის პროგრამაში ჩართვამდე შესაბამისი პირი, ან თუ ის 18 წლამდე ასაკისაა ან ქმედუნაროა - მისი წარმომადგენელი სამდივნოსთან შეთანხმებას აწერს ხელს.

5. საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს რელევანტური პრეცედენტული სამართალი

42. 2009 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე ჟან-პიერ ბემბა გომბო (წინასწარი გამოძიების მეორე პალატის გადაწყვეტილების წინააღმდეგ პროკურორის საჩივართან დაკავშირებით მიღებული 'განჩინება ჟან-პიერ ბემბა გომბოს პატიმრობიდან დროებით გათავისუფლების შესახებ და სასამართლო მოსმენების გამართვა ბელგიის სამეფოსთან, პორტუგალიის რესპუბლიკასთან, საფრანგეთის რესპუბლიკასთან, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, იტალიის რესპუბლიკასთან და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან'), საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს სააპელაციო პალატამ განაცხადა შემდეგი:

„104. სააპელაციო პალატა, ქვემოთყვანილ მიზეზთა გამო, ადგენს, რომ წინასწარი წარმოების პალატამ დაუშვა შეცდომა, როცა მიიღო გადაწყვეტილება ბ-ნი ბემბას პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ შესაბამისი პირობების განსაზღვრის გარეშე და იმ სახელმწიფოს იდენტიფიცირების გარეშე, რომელიც დათანხმდება ბ-ნი ბემბას მიღებაზე პირობების შესრულების უზრუნველყოფით.

105. როგორც უკვე აღინიშნა ზემოთყვანილ 59-ე პარაგრაფში, სააპელაციო პალატის აზრით, დროებით გათავისუფლების შესახებ განჩინება დისკრეციული არ არის. თუ წინასწარი წარმოების პალატას აკმაყოფილებს ის, რომ სტატუტის 58-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული პირობები არ სრულდება, ის ათავისუფლებს პირს პირობებით ან პირობების გარეშე. თუ გათავისუფლება სტატუტის 58-ე მუხლის 1-ლი ნაწილის (ბ) პუნქტში აღწერილ საფრთხეებს გამოიწვევს, პალატა პროცედურისა და მტკიცებულებათა წესების 119-ე (1) წესის გათვალისწინებით

21 გადაწყვეტილება საქმეზე ბედე ჯოკაბა ლამში ლონგა ნიდერლანდების წინააღმდეგ

შეისწავლის შესაბამის პირობებს საფრთხეების შესამცირებლად ან თავიდან ასაცილებლად. როგორც პროცედურისა და მტკიცებულებათა წესების 119(1) წესის შესაბამისად პირობების ჩამონათვალი მიუთითებს, შესაბამის გარემოებებში, პალატას ასევე შეუძლია დააწესოს პირობები, რომელიც სტატუტის 58-ე მუხლის 1-ლი ნაწილის (ბ) პუნქტში აღწერილ საფრთხეებს თავისთავად არ შეამცირებენ. ამ ორ-დონიანი ძიების შედეგი ერთი გადაწყვეტილებაა, რომელიც კონკრეტული და სავალდებულოდ შესასრულებელი პირობების საფუძველზე ვადამდე პირობით გათავისუფლების საშუალებას იძლევა. სხვაგვარად, მსგავს ვითარებაში, გათავისუფლება მხოლოდ დაკისრებულ კონკრეტულ პირობებშია შესაძლებელი.

106. გარდა ამისა, სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ ვადამდე პირობითი გათავისუფლებისთვის აუცილებელია, პირის მიღების სურვილის მქონე სახელმწიფოს იდენტიფიცირება ისევე, როგორც შესაბამისი პირობების შესრულების უზრუნველყოფა. პროცედურისა და მტკიცებულებათა წესების 119(3) წესი თავისუფლების შემზღუდველი ნებისმიერი პირობების დაკისრების ან მათში ცვლილებების შეტანამდე, სასამართლოს ავალდებულებს მოიძიოს, მათ შორის, შესაბამისი სახელმწიფოს მოსაზრებები. აქედან გამომდინარე სახელმწიფო, რომელიც მზადაა პირის მისაღებად, ვადამდე პირობით გათავისუფლების გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა იყოს იდენტიფიცირებული.

107. გარდა ამისა, სააპელაციო პალატა აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სიხლის სამართლის სასამართლო მონაწილე ქვეყნების ტერიტორიებზე თავის ფუნქციებსა და უფლებამოსილებას ახორციელებს და როგორც ასეთი, ვადამდე პირობით გათავისუფლებული პირის მიღება დამოკიდებულია სახელმწიფოს თანამშრომლობაზე, და სასამართლოს მიერ დაკისრებული პირობების შესრულების უზრუნველყოფაზე. ხსენებული თანამშრომლობის გარეშე, სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება ვადამდე პირობით გათავისუფლებასთან დაკავშირებით არაეფექტიანი იქნებოდა.

108. მოცემული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატა აღნიშნავს, რომ წინასწარი წარმოების პალატამ სტატუტის 58-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული პირობების შესწავლის დასრულების შემდეგ გადაწყვიტა, რომ ბ-ნი ბემბა თუმცა პირობით, მაგრამ უნდა გათავისუფლდეს. პალატამ განმარტა, რომ დაკისრებული პირობები შემდეგ ეტაპზე განისაზღვრება. გარდა ამისა, სადავო გადაწყვეტილების 83-ე პარაგრაფში პალატამ ხელმეორედ განაცხადა, რომ არ არის დადგენილი, რა სახის პირობები უნდა გამოიყენონ ბ-ნ ჟან-პიერ ბემბას თავისუფლების აღსაკვეთად და რომელ სახელმწიფოში უნდა მოხდეს მისი პირობით გათავისუფლება. და ბოლოს, სადავო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში პარაგრაფი (ა), წინასწარი წარმოების პალატამ სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე, ბ-ნი ბემბას პირობით გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო. ამგვარად, მოცემულ საქმეში, სადავო გადაწყვეტილება არამართებულია, ვინაიდან წინასწარი წარმოების პალატამ ვერ წარადგინა სათანადო პირობები, რათა ბ-ნი ბემბას ვადამდე პირობით გათავისუფლება შესაძლებელი გამხდარიყო.

109. ამ მიზეზთა გამო, სააპელაციო სასამართლო ადგენს, რომ წინასწარი წარმოების პალატა შეცდა, როდესაც ვადამდე პირობით გათავისუფლება სათანადო პირობების წარმოდგენისა და იმ სახელმწიფოს იდენტიფიცირების გარეშე დაუშვა, რომელიც ბ-ნ ბემბას მიიღებს და მისთვის სასამართლოს მიერ დაკისრებული პირობების შესრულებას უზრუნველყოფს.

43. თავის 2011 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილებაში, რომელიც დაცვის მხარის სამ მოწმეს ეხება (ზემოხსენებული [ა], [ბ] და [გ] მოწმეები საქმეში *Germain Katanga and Mathieu Ngudjolo Chui* (“გადაწყვეტილება საქმეზე *Amicus Curiae application and on the ‘Requête tendant à obtenir présentations des témoins DRC-D02-P-0350, DRC-D02-P-0236, DRC-D02-P-0228 aux autorités néerlandaises aux fins d’asile*” (სტატუტის 68-ე და 93-ე მუხლების მე-7 ნაწილი)), სასამართლოს მეორე პალატამ განაცხადა შემდეგი (სქოლიოები გამოტოვებულია):

„1. რა არის მოწმეთა დაცვის ვალდებულებათა ზუსტი ფარგლები, კერძოდ, სტატუტის 68-ე მუხლით გამყარებული?

ა. აუცილებელი განმასხვავებელი

59. გამწესრიგებელ სხდომაზე პალატამ ხაზი გაუსვა იმას, რომ უნდა განვსხვავოთ სასამართლოს მიერ სტატუტის 68-ე მუხლის შესაბამისად მიღებული ზომები - სასამართლოსთან თანამშრომლობის გამო მოწმეთა დაცვის მიზნით - და ის ზომები, რომელიც მისაღებია მათ დასაცავად ადამიანის უფლებათა შესაძლო ან დადასტურებული დარღვევისას, ამ ტერმინის ფართო გაგებით. პალატა დასძენს, რომ არ უნდა მოხდეს ამ ორი სახის ზომის არევა ზომასთან, რომელიც კონკრეტულად გამოიყენება იმ პირების დასაცავად, რომლებსაც თავშესაფრის მოთხოვნა აქვთ დაყენებული და შესაძლოა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დევნის მსხვერპლნი გახდნენ.

60. ეს განსხვავებები ამ გადაწყვეტილების თეორიულ საფუძველს ქმნის. იმ დროს, როცა პალატა აცნობიერებს, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ საერთო ვითარებას ამ ტერმინის ფართო გაგებით, ამა თუ იმ ქვეყანაში რისკების შეფასებაზე, რომლებსაც მოწმეები სასამართლოსთან თანამშრომლობის შედეგად აწყდებიან, არ უნდა მოხდეს ზემომოყვანილი სამი სახის რისკების გაიგივება, რათა მოწმეთა დაცვასთან მიმართებაში სასამართლოს მანდატი მცდარად არ იყოს გაგებული.

61. პალატის აზრით, სტატუტი ერთმნიშვნელოვნად ავალდებულებს სასამართლოს მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა სასამართლოსთან მოთანამშრომლე მოწმეებს თავიდან აარიდოს რისკები. ეს არის სტატუტის 68-ე მუხლის ერთადერთი სწორი განმარტება, რომელიც მოცემული საკითხის საბაზო დებულებას წარმოადგენს. მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ წესების 87-ე მუხლსა და სამდივნოს რეგლამენტის 96-ე მუხლებში ამის შესახებ ღიად არ ცხადდება, ამ ორი დებულების ლოგიკური და ერთობლივი წაკითხვა ამყარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სასამართლოს როლი შემოიფარგლება მოწმეთა საფრთხეებისგან დაცვით მათ მიერ მიცემული ჩვენების შედეგად.

62. წარმომადგენელი და ჟერმენ კატანგას დაცვის მტკიცების საწინააღმდეგოდ, პალატა მიიჩნევს, რომ მას არა მხოლოდ მიცემული ჩვენებების შედეგად შესაძლო რისკის წინაშე მდგომი მოწმეების დაცვა არ ევალება, არამედ [კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის] მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის შედეგად დაზარალებული მოწმეებისაც. მანდატის ძალით, სასამართლო იცავს მოწმეებს, რომლებიც რისკის წინაშე განსაკუთრებით, მათი სასამართლოსთან თანამშრომლობის შედეგად დადგნენ და არა იმათ, ვინც ხელისუფლების მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევის მსხვერპლი გახდა ქვეყანაში, საიდანაც არიან წარმოშობით. სტატუტის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილი სასამართლოს არ ავალდებულებს მონაწილე სახელმწიფოების მხრიდან ეროვნულ სამართალწარმოებაში საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებების სათანადოდ გამოყენების უზრუნველყოფას. ერთადერთი რაც მოეთხოვება პალატებს, არის იმის უზრუნველყოფა, რომ სტატუტისა და სხვა სამართლებრივი წყაროებით დადგენილი 21-ე მუხლის 1-ლი და 21-ე მუხლის მე-2 ნაწილების გამოყენება მოხდეს იმგვარად, რომ საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებები არ დაირღვეს და წინააღმდეგობაში არ მოვიდეს მათთან.

63. ამასთან, სასამართლო ვალდებულია შეაფასოს დევნასთან დაკავშირებული საფრთხეები, რასაც თავშესაფრის მოძღვრებით მოწმეები განიცდიან. ამასთან დაკავშირებით, გამწესრიგებელ სხდომაზე, სასამართლო კიდევ ერთხელ ადასტურებს თავის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ თავშესაფრის მოთხოვნის განხილვის კრიტერიუმში, განსაკუთრებით დევნის რისკის ქვეშ მყოფი მომჩივნებისა, არ შეესაბამება კრიტერიუმებს, რომელსაც იყენებს სასამართლო იმ რისკების შესაფასებლად, რომელსაც აწყდებიან სასამართლოში ჩვენებების მიმცემი მოწმეები.

64. შესაბამისად, მას არ შეუძლია გაიზიაროს მასპინძელი ქვეყნის არგუმენტი იმის შესახებ, რომ პალატამ უნდა შეაფასოს საფრთხეები, რომლებსაც მოწმეები აწყდებიან იმ პრინციპის ფარგლებში, რასაც 'არ-გამეგება' ჰქვია, პრინციპის, რომელიც დაფიქსირებულია მთელ რიგ საერთაშორისო დოკუმენტებში, მათ შორის 1951 წლის 28 ივლისის ქენევის კონვენციის 33-ე მუხლში. მართლაც, როგორც სამართლებრივი სტატუსის მქონე საერთაშორისო ორგანიზაცია, სასამართლოს არ შეუძლია უგულებელყოს ჩვეულებითი სამართლის ისეთი ნორმა, როგორიცაა 'არ-გამეგება'. თუმცა, ვინაიდან ის არ ფლობს ტერიტორიას, მას არ შეუძლია ამ პრინციპის განხორციელება მისი ძირითადი მნიშვნელობით, შესაბამისად ნაკლებად სავარაუდოა, რომ შესძლოს გრძელვადიანი იურისდიქციის გავრცელება იმ პირებზე, რომლებიც დევნისა და წამების საფრთხის ქვეშ დგებიან იმ ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ, საიდანაც არიან წარმოშობით. პალატის მოსაზრებით, მხოლოდ ტერიტორიის მფლობელ სახელმწიფოს შეუძლია გამოიყენოს 'არ-გამეგების' წესი. გარდა ამისა, სასამართლო ვერ გამოიყენებს სტატუტით გათვალისწინებული თანამშრომლობის მექანიზმებს იმისთვის, რომ აიძულო მონაწილე ქვეყნები მის ტერიტორიაზე ამ წესის შემსრულებელი პირი მიიღონ. მეტიც, ის მასპინძელი სახელმწიფოს მაგივრად წინასწარ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას არ-გამეგების პრინციპთან დაკავშირებული ვალდებულებების ამ უკანასკნელისთვის დაკისრებაზე. ამიტომ ამ

23 გადაწყვეტილება საქმეზე ბედე ჯოკაბა ლამში ლონგა ნიდერლანდების წინააღმდეგ

საქმეში, აუცილებლობის შემთხვევაში, მხოლოდ ჰოლანდიის ხელისუფლებას ეკისრება არ-გაძევების პრინციპთან დაკავშირებული ვალდებულებების შეფასება.

ბ. პალატის როლი

65. ამჟამად დაზარალებულთა და მოწმეთა ჯგუფსა და მათ წარმომადგენელს შორის მიმდინარე უთანხმოებისას, სამი დაკავებული მოწმეთვის მათი ჩვენებების გამო მოსალოდნელი რისკის თავიდან ასაცილებლად, პალატას სტატუტის 68-ე მუხლის შესაბამისად, აუცილებელი ოპერატიული ზომების მიღების თაობაზე გადაწყვეტილება ჯერ არ გამოუტანია. პალატა აღნიშნავს, რომ 2011 წლის 24 მაისს მან დაავალა დაზარალებულთა და მოწმეთა ჯგუფს კერძოდ, [კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის] ხელისუფლებასთან განხილვის საფუძველზე, საბოლოოდ შეაფასოს რისკები, რომლის წინაშე შეიძლება აღმოჩნდნენ მოწმეები და მათთვის შესაძლო დამცავი ზომების გატარება. განხილვისა და შეთავაზებების შესაძლო შედეგები სამდივნოს 2011 წლის 7 ივნისს წარუდგინეს. მას შემდეგ, რაც მხარეებმა და მონაწილეებმა თავისი განცხადებები გააკეთეს, მოწმის გამოძახების მხარისა და სამდივნოს შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში, სააპელაციო პალატის წინა გადაწყვეტილებასთან შესაბამისად, პალატა გამოიტანს დამცავი ზომების გატარების შესახებ გადაწყვეტილებას, რომლის მიღება მისი მანდატის ფარგლებში გახდება შესაძლებელი.

66. თუმცა, მიუხედავად ზემოხსენებული წინააღმდეგობებისა, ეს გადაწყვეტილება ჰოლანდიის ხელისუფლებას თავშესაფრის მინიჭების შესახებ პროცედურის მიმდინარეობას ხელს ვერ შეუშლის. ამჟამად, პალატა თავშესაფრის მინიჭების პროცედურას განიხილავს.

2. სტატუტის 93-ე მუხლის მე-7 ნაწილის უშუალო გამოყენება შესაბამეა თუ არა საერთაშორისოდ აღიარებულ ადამიანის უფლებებს?

67. რაც შეეხება ნებისმიერ ადამიანს, განურჩევლად იმისა დაკავებულია ის თუ არა, სამ ხსენებულ მოწმეს აქვს უფლება, თავშესაფრის მინიჭების მოთხოვნით დააყენოს შუამდგომლობა. ლტოლვილთა სტატუსის შესახებ ჟენევის 1951 წლის 28 ივლისის კონვენციისა და 1967 წლის 31 იანვრის დამატებითი ოქმთან ერთად, 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-14 მუხლი ითვალისწინებს ყველა ადამიანის უფლებას, დევნის თავიდან ასაცილებლად, სხვა სახელმწიფოებში მოითხოვოს და მიიღოს თავშესაფარი. გარდა ამისა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო დეკლარაცია ტერიტორიული თავშესაფრის შესახებ, რომელიც თავშესაფრის მოთხოვნისა და მიღების უფლებას იცავს. პალატა ასევე აღნიშნავს, რომ 2000 წლის 7 დეკემბერს მიღებული ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების ქარტიის მე-18 მუხლი უზრუნველყოფს თავშესაფრის უფლებას და პატივს სცემს 1951 წლის 28 ივლისის ჟენევის კონვენციისა და 1967 წლის 31 იანვრის დამატებითი ოქმის მუხლებს, დაკავშირებულს ლტოლვილთა შესახებ სტატუსს, ევროპული თანამეგობრობის დაფუძნების ხელშეკრულებასთან შესაბამისად, ასევე ქარტიის მე-19(2) მუხლი შეახსენებს, რომ დაუშვებელია პირის გადაადგილება, გაძევება ან ექსტრადირება სახელმწიფოში, სადაც მას ემუქრება სიკვდილით დასჯა, წამება ან სხვა არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა ან დასჯა. პალატა ასევე აღნიშნავს, რომ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის წინააღმდეგ 1984 წლის 10 დეკემბრის კონვენცია ადგენს 1951 წლის ჟენევის კონვენციის მსგავსს წესს და, თუმცა მოცულობით უფრო ვიწროს, იძენს ჩვეულებითი სამართლის ნორმის სტატუსს. ის კრძალავს პირის სახელმწიფოდან გაძევებას ან ექსტრადირებას სხვა ქვეყანაში, სადაც არსებობს მტკიცე საფუძველი ვარაუდისა, რომ ის შეიძლება წამების მსხვერპლი გახდეს.

68. „არ-გაძევების“ პრინციპი ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ნორმას წარმოადგენს და არის ადამიანის უფლებათა დაცვის განუყოფელი ნაწილი. თითოეულ ადამიანს აქვს უფლება ისარგებლოს მისი მოქმედებით.

69. შესაბამისად, პალატას არ აქვს უფლება, უგულებელყოს წარმომადგენლის მოთხოვნაში წარმოდგენილი უფლებების მნიშვნელობა. რაც შეეხება ზემოხსენებულ თავშესაფრის მოთხოვნის უფლებას, პალატამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლებას, რომელიც განმტკიცებულია მათ შორის, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-8 მუხლით, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-2 მუხლით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-13 მუხლით, ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტიის მე-7 მუხლითა და ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის 25-ე მუხლით. პალატა უყურადღებოდ ვერ დატოვებს ამ ფუნდამენტურ წესს

და ხაზს უსვამს, რომ თავშესაფრის მოთხოვნის პროცედურის ეფექტიანობისთვის, უნდა ხდებოდეს მისი ღია მოთხოვნა, როგორც სამართლებრივად, ასევე პრაქტიკაში და სასამართლოს მოქმედებისა ან უმოქმედობის შედეგად, თავშესაფრის მოთხოვნას დაბრკოლებები არ უნდა ხდებოდეს.

70. სტატუტის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, პალატამ ყველა შესაბამისი საკანონმდებლო თუ ნორმატიული დებულება იმგვარად უნდა გამოიყენოს, რომ სრულად უზრუნველყოს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება, რომელიც მკაფიოდაა ასახული საერთაშორისოდ აღიარებულ ადამიანის უფლებებში.

71. სამი დაკავებული მოწმე სტატუტის 93-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, ჩვენების მისაცემად სასამართლოში გადაიყვანეს. 93-ე მუხლის მე-7 ნაწილი ასევე ითვალისწინებს გადაცემული პირის პატიმრობაში დატოვებას და მას მერე, რაც გადაცემის მიზანი შესრულდება, სასამართლო ვალდებულია პირი გადაუდებლად მოთხოვნილ სახელმწიფოში დააბრუნოს, ამ შემთხვევაში - [კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში].

72. მოწმეებმა ჩვენებების მიცემა 2011 წლის 3 მაისს, სამშაბათს დაასრულეს. პალატის აზრით, მოცემულ ეტაპზე, მოსაგვარებელია მხოლოდ ერთი საკითხი - რამდენად დაარღვევს დაკავებული მოწმეების უფლებებს თავშესაფრის მოთხოვნასთან დაკავშირებით სტატუტის 93-ე მუხლის მე-7 ნაწილის უშუალო გამოყენება.

73. შექმნილ ვითარებაში, პალატა ვერ გამოიყენებს სტატუტის 93-ე მუხლის მე-7 ნაწილს იმ პირობებით, რომელიც, სტატუტის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ესადაგება საერთაშორისოდ აღიარებულ ადამიანის უფლებებს. თუ მოწმეები დაუყოვნებლივ უნდა დაბრუნდნენ [კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში], მათთვის შეუძლებელი ხდება მათი თავშესაფრის მოთხოვნის უფლების განხორციელება, შესაბამისად მათ ერთმევათ სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების ფუნდამენტური უფლება. გარდა ამისა, პალატას უნდა აეძულებინა მასპინძელი სახელმწიფო ეთანამშრომლა სასამართლოსთან, რათა მოწმეები გადაეყვანათ აეროპორტში და დაუყოვნებლივ დაებრუნებინათ [კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში], ეს კი შემკავებული იქნებოდა ნიდერლანდებისთვის, რომ არ დაერღვია მოწმეთა უფლებები არ-გამეცების პრინციპთან დაკავშირებით.

74. გარდა ამისა პალატა მიიჩნევს, რომ მოწმეთა სამართლებრივი სტატუსის საკითხი, რომელიც ხანგძლივი განხილვის საგანი გახდა, გადაწყვეტილების მიღებას არ საჭიროებს. ამ მხრივ, ჰოლანდიის ხელისუფლებამ რამოდენიმეჯერ ნათლად მიაჩნა, რომ თუ მომჩივანი თავშესაფრის მოთხოვნით მათ მიმართავს, რაც კონკრეტულ შემთხვევაში უკვე მოხდა, ისინი ვალდებული იქნებიან ის განიხილონ. მეტიც, სამდივნოსთან ერთად მათაც დაადასტურეს, რომ ამ შემთხვევაში შტაბ-ბინის მთავარი ადგილსამყოფელის შესახებ შეთანხმების 44-ე მუხლი გამოიყენება. პალატის აზრით, ხელშეუხებლობის ნაგულები სამართლებრივი შედეგების, რომლითაც მოწმეები სარგებლობენ, შესახებ გადაწყვეტილების მიღება აუცილებელი არ არის, ვინაიდან ის ამ არგუმენტს უსაფუძვლოდ მიიჩნევს. ...

დასკვნა და შედეგები

79. ყველა ზემოხსენებული მიზეზიდან გამომდინარე, პალატამ მოცემულ ეტაპზე სამი დაკავებული მოწმის დაბრუნების გადადების შესახებ მიიღო გადაწყვეტილება, ვინაიდან სტატუტის 68-ე მუხლის ფარგლებში მათი დაცვის საკითხი ამ დრომდე არ გადაწყვეტილა, ამიტომ მათი „გადადების გარეშე“ დაბრუნება საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებების დარღვევას გამოიწვევს. შესაბამისად, ის უთითებს სამდივნოს შეატყობინოს გაეროს უშიშროების საბჭოს მოწმის DRC-D02-P-0236 მდგომარეობის შესახებ და გააცნოს ხსენებული გადაწყვეტილება.

80. ამჟამად კონგოს ხელისუფლების მიერ გაცემული ბრძანების საფუძველზე, დაკავებული სტატუტის 93-ე მუხლის მე-7 ნაწილისა და რეგლამენტის 192-ე წესის შესაბამისად, მოწმე სასამართლოს პატიმრობაში დარჩება. პალატა არ ეთანხმება სამდივნოს არგუმენტს იმის თაობაზე, რომ ვინაიდან მოწმეებმა სასამართლოს წინაშე ჩვენებების მიცემა დაამთავრეს, მათი პატიმრობაში დარჩენა ყველანაირ სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია.

81. პალატის აზრით, ზემომოყვანილი დოკუმენტები სასამართლოს, მოწმეთა პატიმრობაში დატოვების უფლებამოსილებას ანიჭებენ. ამ დებულებების მოქმედება გაგრძელდება მანამ, სანამ

პალატა უმნიშვნელოვანეს საკითხზე არ გამოიტანს გადაწყვეტილებას - შესაძლებელია კი სტატუტის 93-ე მუხლის მე-7 ნაწილის ვალდებულებით განხორციელდეს მოწმის დაბრუნება ისე, რომ არ დაირღვეს სტატუტის 68-ე მუხლით გათვალისწინებული სასამართლოს სხვა ვალდებულებები და არ დაირღვეს სამი მოწმის საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებები.“ დ. საერთაშორისო სამართლის სხვა შესაბამისი ნორმები

1. ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალი

44. ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი დაარსდა გაეროს უშიშროების საბჭოს 1993 წლის 25 მაისის S/RES/827 რეზოლუციის საფუძველზე. ამ რეზოლუციას თან ერთვის ტრიბუნალის სტატუტი, რომელიც შემდეგ დებულებებს შეიცავს:

მუხლი 15

პროცედურისა და მტკიცებულებათა წესები

„საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის მოსამართლეები მიიღებენ პროცედურისა და მტკიცებულებათა წესებს წინა-სასამართლო მოსმენის, სასამართლოებისა და გასაჩივრების, მტკიცებულებათა დასაშვებობის, დაზარალებულთა და მოწმეთა დაცვისა და სხვა შესაბამისი საკითხების ჩატარება-გადაწყვეტისთვის.

45. ზემომითითებული დებულების მიხედვით მიღებული პროცედურისა და მტკიცებულებათა წესები, შესაბამის ნაწილში ადგენენ შემდეგს:

წესი 90 bis

დაკავებულ მოწმეთა გადაცემა

„(ა) ნებისმიერ დაკავებულ პირს, რომლის მოწმის სახით გამოცხადებას მოითხოვს ტრიბუნალი, დროებით გადაიყვანენ ტრიბუნალის დროებითი მოთავსების იზოლატორში, ტრიბუნალის მიერ დადგენილ ვადებში დაბრუნების პირობით.

(ბ) ბრძანებას გადაყვანის შესახებ გამოსცემს მოსამართლე ან სასამართლო პალატა მხოლოდ მას მერე, რაც დარწმუნდება, რომ დაკმაყოფილდება შემდეგი პირობები:

(i) თხოვნის მიმღები სახელმწიფოს ტერიტორიაზე სამართალწარმოების მიმდინარეობისას დაკავებული მოწმის დასწრება სავალდებულო არ არის დროის იმ მონაკვეთში, როცა ტრიბუნალი ამას მოწმისგან მოითხოვს;

(ii) მოწმის გადაცემა არ გამოიწვევს მისი დაკავების ვადის გაზრდას, რაც გათვალისწინებულია თხოვნის მიმღები სახელმწიფოს მიერ;

(გ) სამდივნო გადაცემის შესახებ ბრძანებას უგზავნის სახელმწიფოს ეროვნულ ხელისუფლებას, რომლის ტერიტორიაზე, ან ვისი იურისდიქციის ან კონტროლქვეშ იმყოფება დაკავებული. გადაცემა უნდა იყოს ორგანიზებული ეროვნული ხელისუფლების მიერ, მასპინძელ ქვეყნასა და სამდივნოსთან შეთანხმებით.

(დ) სამდივნო უზრუნველყოფს გადაცემის სათანადოდ განხორციელებას, მათ შორის, ტრიბუნალის საგამოძიებო იზოლატორში მოწმეზე ზედამხედველობას; ის ინფორმირებული უნდა იყოს თხოვნის მიმღები სახელმწიფოს მიერ გათვალისწინებული დაკავების პირობებთან დაკავშირებით ნებისმიერი ცვლილების შესახებ, რომელიც შესაძლებელია გავლენას ახდენდეს მოწმის საგამოძიებო იზოლატორში მისი დაკავების ხანგრძლივობაზე და რაც შეიძლება სწრაფად უნდა შეატყობინოს შესაბამის მოსამართლეს ან პალატას.

(ე) ტრიბუნალის მიერ დადგენილი დროებითი გადაცემის ვადის ამუშავების შემდეგ, დაკავებული მოწმე უნდა დაუბრუნონ თხოვნის მიმღები სახელმწიფოს ხელისუფლებას, თუ სახელმწიფომ ხსენებულ ვადაში არ გადასცა ბრძანება მოწმის გათავისუფლების შესახებ, რომელიც დაუყოვნებლივ შედის ძალაში.

(ვ) თუ, ტრიბუნალის მიერ დადგენილი ვადის ამოწურვისას, დაკავებული პირის ყოფნა ჯერ კიდევ აუცილებელია, მოსამართლეს ან პალატას (ბ) ქვე-პუნქტში მითითებული პირობების გათვალისწინებით, შეუძლიათ ვადის გახანგრძლივება.“

2. ნატოს შეიარაღებული ძალების სტატუსის შესახებ შეთანხმება

46. ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატო) წევრმა-სახელმწიფოებმა დადეს ხელშეკრულება (ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების მხარეთა შორის შეთანხმება მათი ძალების სტატუსის შესახებ, 1951 წლის 19 ივნისი, ლონდონი, როგორც 1959 წლის დამატებითი შეთანხმების დამატება (შემდგომი შესწორებებით 1971, 1981, და 1993 წ.წ.) – „ნატოს შეიარაღებული ძალების სტატუსის შესახებ შეთანხმება“). ის არეგულირებს, კერძოდ, სისხლისსამართლებრივ იურისდიქციას მისი შეიარაღებული ძალების წევრთა და ერთმანეთის ტერიტორიაზე მომსახურეთა მიმართ. ამ ხელშეკრულების VII მუხლი შესაბამის ნაწილში ითვალისწინებს შემდეგს:

„1. ამ მუხლის დებულებების გათვალისწინებით,

ა. გამგზავნი სახელმწიფოს სამხედრო ხელისუფლებას აქვს უფლება მასპინძელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე გამგზავნი სახელმწიფოს მიერ მასზე დაკისრებული კანონით ამ სახელმწიფოს სამხედრო კანონმდებლობას დამორჩილებული ყველა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი და დისციპლინარული იურისდიქცია განახორციელოს.

ბ. მასპინძელი სახელმწიფოს ხელისუფლებას გააჩნია იურისდიქცია შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობასა ან სამოქალაქო პერსონალზე და მათი ოჯახის წევრებზე იმ ჩადენილ დანაშაულებებთან დაკავშირებით, რომელიც მასპინძელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე განხორციელდა და დასჯადია ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2.(ა) გამგზავნი სახელმწიფოს სამხედრო ხელისუფლებას აქვს უფლება განახორციელოს ექსკლუზიური იურისდიქცია იმ პირთა მიმართ, რომლებიც ემორჩილებიან იმ ქვეყნის სამხედრო კანონმდებლობას ჩადენილი ისეთი დანაშაულებისთვის, როგორიცაა მათ შორის, ქვეყნის უსაფრთხოება, ის დასჯადია არა მასპინძელი სახელმწიფოს, არამედ გამგზავნი სახელმწიფოს კანონმდებლობით. ...

3. პარალელური იურისდიქციის მოქმედების შემთხვევაში, გამოიყენება შემდეგი წესები:

ა. გამგზავნი სახელმწიფოს სამხედრო ხელისუფლებას აქვს უპირატესი უფლება განახორციელოს იურისდიქცია შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის წევრებსა ან სამოქალაქო პერსონალზე, თუ

ი. დანაშაული ჩადენილია მხოლოდ საკუთრების ან ამ სახელმწიფოს უსაფრთხოების წინააღმდეგ, ან მხოლოდ პირის ან საკუთრების, ან სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის სხვა წევრისა თუ სამოქალაქო პერსონალის, ან მათო ოჯახის წევრის წინააღმდეგ;

იი. სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებისას ნებისმიერი მოქმედებიდან თუ უმოქმედობიდან გამომდინარე ჩადენილი დანაშაული;

ბ. ნებისმიერი სხვა დანაშაულის ჩადენისას, მასპინძელ სახელმწიფოს აქვს უპირატესი უფლება განახორციელოს იურისდიქცია.

გ. თუ უპირატესი უფლების მქონე სახელმწიფო მიიღებს გადაწყვეტილებას იურისდიქცია არ განახორციელოს, მან ამის შესახებ უმოკლეს დროში სხვა სახელმწიფოს ხელისუფლებას უნდა შეატყობინოს. უპირატესი უფლების მქონე სახელმწიფოს ხელისუფლება კეთილგანწყობით მოეკიდება სხვა სახელმწიფოს ხელისუფლების მხრიდან თავის უფლებებზე უარის თქმას იმ შემთხვევაში, თუ ის სახელმწიფო ამ უარს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

4. ამ მუხლის ზემოხსენებული დებულებები არ ითვალისწინებს გამგზავნი სახელმწიფოს სამხედრო ხელისუფლების უფლებას, განახორციელოს იურისდიქცია მასპინძელი სახელმწიფოს მოქალაქეებსა ან ამ სახელმწიფოში მცხოვრებ სხვა პირებზე, თუ ისინი არ არიან გამგზავნი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის წევრები.

5. მასპინძელი და გამგზავნი სახელმწიფოების ხელისუფლებები ერთმანეთს დაეხმარებიან შეიარაღებული ძალების ან სამოქალაქო პერსონალის, ან მათი ოჯახის წევრების მასპინძელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაკავებაში და მათ გადაცემაში ხელისუფლებისთვის, რომელიც ახორციელებს იურისდიქციას ზემომოყვანილი დებულებების შესაბამისად.

ა. მასპინძელი სახელმწიფოს ხელისუფლება მყისიერად ატყობინებს გამგზავნი სახელმწიფოს სამხედრო ხელისუფლებას შეიარაღებული ძალების, ან სამოქალაქო პერსონალის, ან მათი ოჯახის წევრების დაპატიმრების შესახებ.

ბ. შეიარაღებული ძალების ან სამოქალაქო პერსონალის წევრის პატიმრობა, რომელზეც მასპინძელი სახელმწიფო იურისდიქციას ახორციელებს, თუ ის გამგზავნი სახელმწიფოს ხელშია, რჩება იმ სახელმწიფოში მანამ, სანამ ის მასპინძელი სახელმწიფოს მიერ არის ბრალდებული.

გ. მასპინძელი და გამგზავნი სახელმწიფოს ხელისუფლებები დაეხმარებიან ერთმანეთს მიმდინარე გამოძიებებში, მტკიცებულებების მოპოვება-წარმოდგენაში, მათ შორის დანაშაულთან დაკავშირებული საგნების ამოღებასა და საჭიროების შემთხვევაში მათ გადაცემაში. ასეთი საგნების გადაცემა შეიძლება განხორციელდეს იმ პირობით, რომ მათ დააბრუნებენ გადამცემი სახელმწიფოს მიერ წინასწარ განსაზღვრულ დროში.

...

10. ა. შეიარაღებული ძალების ნაწილებს ან ფორმირებებს, მასპინძელ სახელმწიფოსთან შეთანხმების საფუძველზე მათ მიერ დაკავებული ნებისმიერი ბანაკის, დაწესებულების ან სხვა შენობის (ფართის) პატრულირების უფლება გააჩნიათ. შეიარაღებული ძალების სამხედრო პოლიციას შეუძლია მიიღოს ყველა სათანადო ზომა მსგავს დაწესებულებებში (ან ტერიტორიაზე) წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ბ. ამ შენობების გარეთ, სამხედრო პოლიცია გამოიყენება მხოლოდ მასპინძელ ქვეყანასთან შეთანხმების და მის ხელისუფლებასთან ურთიერთქმედების საფუძველზე, სამხედრო პოლიციის მოქმედებები აუცილებელია შეიარაღებული ძალების წევრებს შორის დისციპლინისა და წესრიგის დასაცავად.

47. 1995 წელს დადებული დამატებითი შეთანხმება (ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების წევრ ქვეყნებსა და პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამაში მონაწილე ქვეყნებს შორის მათი შეიარაღებული ძალების სტატუსის შესახებ 1995 წლის 19 ივნისს ქ. ბრიუსელში გაფორმებული შეთანხმება) აფართოვებს ამ დებულების გამოყენებას ნატოს არა-წევრი ქვეყნებისათვის, რომლებიც პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამაში მონაწილეობენ.

3. მოტლანდიის სასამართლო ნიდერლანდებში

48. 1998 წლის 18 სექტემბერს, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობა და ნიდერლანდების სამეფოს მთავრობა, მოქმედებდნენ რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების VII თავის საფუძველზე მიღებული უშიშროების საბჭოს რეზოლუციის შესაბამისად (1998 წლის

27 აგვისტოს რეზოლიცია 1192), დადეს ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ნიდერლანდების მთავრობამ აიღო ვალდებულება, ემსპინძლა შოტლანდიის სასამართლოსთვის, შოტლანდიის კანონმდებლობისა და პროცედურის შესაბამისი მიზნებითა და ხანგრძლივობით, ორ ლიბიელ პირზე, რომლებსაც ბრალად 1988 წელს, ლოკერბის თავზე (შოტლანდია) სამოქალაქო სამგზავრო თვითმფრინავის დაბომბვა ედებოდათ (შეთანხმება დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობასა და ნიდერლანდების სამეფოს მთავრობას შორის ნიდერლანდებში შოტლანდიის სასამართლოს ჩატარების შესახებ (დანართით), [2002] 2062 United Nations Treaty Series – UNTS – pp. 81 et seq.). ნიდერლანდებში შოტლანდიის სასამართლომ 2002 წლამდე იარსება.

49. შეთანხმების მე-6 მუხლი სათაურით „სამართალი და ხელისუფლება შოტლანდიის სასამართლოს შენობებში“ ითვალისწინებდა შემდეგს:

„(1) ამ შეთანხმების შესაბამისად, შოტლანდიის სასამართლოს შენობები შოტლანდიის სასამართლოს კონტროლსა და უფლებამოსილების ქვეშაა.

(2) თუ ამ შეთანხმებით სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული, შოტლანდიის სასამართლოში მასპინძელი ქვეყნის კანონები და წესები ვრცელდება.

(3) შოტლანდიის სასამართლოს აქვს უფლება შოტლანდიის სასამართლოს ტერიტორიაზე შემოიღოს წესები, რომელთა მოქმედება აუცილებელია მისი ფუნქციების სრულად შესასრულებლად. შოტლანდიის სასამართლო მყისიერად აწვდის ინფორმაციას კომპეტენტურ ორგანოებს ამ პარაგრაფის შესაბამისად შემოღებული წესების თაობაზე. მასპინძელი ქვეყნის კანონი თუ წესი, რომელიც შეუსაბამოა შოტლანდიის სასამართლოს წესებთან, ამ შეუსაბამობიდან გამომდინარე, შოტლანდიის სასამართლოს შენობებში არ მოქმედებს.

(4) შოტლანდიის სასამართლოსა და მასპინძელ ქვეყანას შორის ნებისმიერი დავა იმის თაობაზე, თუ რამდენად შესაბამისობაშია ამ მუხლთან შოტლანდიის სასამართლოს დადგენილება, ან რამდენად შეუსაბამოა მასპინძელი ქვეყნის კანონი ან სხვა ნორმა შოტლანდიის სასამართლოს რეგლამენტთან ამ მუხლის მიხედვით, დაუყოვნებლივ უნდა გადაიჭრას 28-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად [მხარეებს შორის მოლაპარაკებითა და კონსულტაციით]. მსგავსი შეთანხმების მიღწევამდე, შოტლანდიის სასამართლოს რეგლამენტი ამოქმედდება, ხოლო მასპინძელი ქვეყნის კანონი და სხვა ნორმა შოტლანდიის სასამართლოს შენობებში იქნება გამოუყენებელი, თუ შოტლანდიის სასამართლო განაცხადებს, რომ ის მის რეგლამენტთან შეუსაბამოა.

50. გაერთიანებულმა სამეფომ აამოქმედა შეთანხმება უმაღლესი სისხლის სამართლის სასამართლოს საშუალებით (სამართალწარმოება ნიდერლანდებში) (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია) ბრძანება 1998 (1998 წ. საკანონმდებლო აქტები № 2251), რომელიც შესაბამის ნაწილში ითვალისწინებს შემდეგს:

მოწმეები

„12.- (1) გაერთიანებულ სამეფოში მოწმეები, რომლებსაც იძახებენ ამ ბრძანების შესაბამისად მიმდინარე სამართალწარმოებაში მონაწილეობის მისაღებად, შეიძლება გამოიძახონ სასამართლო შენობაში.

(2) მოწმის დაპატიმრების ორდერი, გულისხმობს მის უფლებამოსილებას გადაყვანილი იყოს სასამართლოს შენობაში, სახელმწიფო მდივნის მიერ გატარებული ზომების შესაბამისად.

(3) მოწმეები, რომლებიც გაერთიანებული სამეფოს ფარგლებს გარეთ იმყოფებიან, ნიდერლანდებში განთავსებული უმაღლესი სისხლის სამართლის სასამართლოს წინაშე უნდა წარდგნენ ისევე, როგორც ეს შოტლანდიაში განთავსებული სასამართლოს შემთხვევაში მოხდებოდა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების (საერთაშორისო თანამშრომლობა) 1990(6) წლის კანონის 2-ე მუხლის (1) (ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად, (გაერთიანებული სამეფოს პროცესის მოქმედება ქვეყნის საზღვრებს გარეთ)

ამოქმედდება ისე, თითქოს გაერთიანებულ სამეფოში სასამართლოზე მითითება მოიცავს უმაღლეს სისხლის სამართლის სასამართლოს, რომელიც ნიდერლანდებში მდებარეობს.

საჩივრები

51. მომჩივანი ჩიოდა, რომ კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის გათვალისწინებით, გაეროს საპატიმრო დაწესებულებაში მისი ხანგძლივი პატიმრობა უკანონო იყო. კონგოს სახელმწიფოს მიერ მისი დაკავების სამართლებრივი საფუძველი 2007 წლის 2 ივლისს ამოიწურა და აღარ განახლებულა. მას შემდეგ, რაც მომჩივანმა მისცა ჩვენება, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს არ გააჩნდა სამართლებრივი საფუძველი მისი პატიმრობაში დატოვების. ნიდერლანდების ხელისუფლებას არასდროს განუცხადებია, რომ ნიდერლანდების ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, მომჩივნის დაკავების საფუძველი არსებობდა.
52. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ თუ მისი დაკავება კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის (გ) პუნქტით გამართლებული იყო, მისი სასამართლოზე არაგონივრულ ვადაში მიყვანამ მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის დარღვევა გამოიწვია.
53. მომჩივნის აზრით, ნიდერლანდებმა მისი დაკავების კანონიერების საკითხის განხილვაზე უარი განაცხადა, რითაც კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილი დაირღვა. ის ასევე მე-5 მუხლის მე-5 ნაწილის დარღვევას უჩიოდა.
54. და ბოლოს, მომჩივანი ამტკიცებდა, რომ კონვენციის მე-13 მუხლი დაირღვა იმით, რომ ეროვნული სამართლებრივი სისტემის ფარგლებში მას არ გააჩნდა სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებები, რომლის მეშვეობითაც მისი პატიმრობის კანონიერებას სადავოდ გახდიდა. იმავდროულად, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს ფარგლებში არანაირ პროცედურას, თანმდევი შესაბამისი გარანტიებით, ადგილი არ ჰქონდა.

სამართალი

I. უნდა მოხდეს თუ არა ამ საჩივრის სასამართლოს განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვა

55. მთავრობამ სასამართლოს შეატყობინა, რომ 2012 წლის 4 სექტემბერს, მომჩივანმა თავშესაფრის მოთხოვნა უკან გამოიწვია. ეს ცალსახად გულისხმობს იმას, რომ მომჩივანმა უარი თქვა ნიდერლანდების ხელისუფლებისგან მისი პატიმრობიდან გათავისუფლების ბრძანების მოპოვების მცდელობას. არც ამის და არც საჩივრის გამოტანის შესახებ უშუალოდ მომჩივანმა სასამართლოს არ შეატყობინა (მუხლი 47-ე ნაწილი მე-6). ამგვარად, სასამართლო რჩება გაურკვევლობაში, სურს თუ არა მომჩივანს მისი საქმის არსებითი განხილვა.
56. ასეთ შემთხვევაში, თვითონ სასამართლოს გადასაწყვეტია, ამორიცხოს თუ არა განსახილველ საქმეთა ნუსხიდან საჩივარი, რასაც კონვენციის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ითვალისწინებს:

„1. პროცესის ნებისმიერ სტადიაზე სასამართლოს შეუძლია განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხოს საჩივარი, თუ გარემოებათა ძალით ის დაასკვნის, რომ:

(ა) მომჩივანს აღარ აქვს განზრახული ბოლომდე მისდიოს თავის საჩივარს;

(ბ) დავა არსებითად გადაწყდა;

(გ) სასამართლოს მიერ დადგენილი რაიმე სხვა მიზეზით, საჩივრის შემდგომი შესწავლა აღარ არის გამართლებული.

თუმცა, სასამართლო მაინც განაგრძობს საჩივრის შესწავლას, თუ კონვენციითა და მისი ოქმებით განსაზღვრულ უფლებათა დაცვა ამას მოითხოვს.

57. თუმცა სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე საჩივარი კონვენციის 1-ლი მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან საკითხებს წამოჭრის. კერძოდ, საჩივარი ხელშემკვრელ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე მოქმედი საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალების ფუნქციონირების ძირითად ასპექტებს ეხება, ისეთი ტრიბუნალების, რომელთაც პირების პატიმრობაში ყოლის უფლებამოსილება გააჩნიათ. ის თვლის, რომ მოცემულ საჩივარში დასმული საკითხები სასწრაფო გადაჭრას მოითხოვს იმის გათვალისწინებით, რომ 2012 წლის 26 სექტემბერს დროებითი ზომების მოსამართლის მიერ გამოტანილმა გადაწყვეტილებამ გაურკვევლობა გააჩინა (იხ. ზემოთ 38-ე პარაგრაფი).
58. სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ „ფაქტობრივად, მისი გადაწყვეტილებების აზრი მდგომარეობს არა მხოლოდ იმაში, რომ სასამართლოს წინაშე წარდგენილ კონკრეტულ საქმეებზე გადაწყვეტილება გამოიტანო, არამედ, უფრო ზოგადად, კონვენციით დადგენილი წესები განმარტოს, დაიცვას და განავითაროს და ამით ხელი შეუწყოს სახელმწიფოების, როგორც ხელშემკვრელი მხარეების მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას“ (იხ. *Karner v. Austria, no. 40016/98, § 26, ECHR 2003 IX*). ითვალისწინებს რა თავის ამოცანას „კონვენციისა და მასი ოქმების შესაბამისად (კონვენციის მე-19 მუხლი) მაღალი ხელშემკვრელი მხარეების მიერ თავისთავზე აღებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფას, რასაც პირველ რიგში ის ცალკეული ზომების წარმოდგენით ახორციელებს, სასამართლო აღნიშნავს, რომ საერთო ინტერესების გათვალისწინებით, მისი მისია ასევე მდგომარეობს ზოგად-პოლიტიკური საკითხების განსაზღვრაში, რაც ხელს უწყობს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთო სტანდარტების აწევასა და კონვენციის წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე ადამიანის უფლებებზე იურისპრუდენციის გაფართოებაში.
59. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ თავისი ნუსხიდან მან საჩივარი არ უნდა ამორიცხოვს (იხ. ზემოთ *mutatis mutandis, Tyrer v. the United Kingdom, 25 April 1978, §§ 26-27, Series A no. 26, and Karner*).

II. კონვენციის მე-5 და მე-13 მუხლების ნაგულისხმები დარღვევები

60. მომჩივანმა განაცხადა, რომ მას ნიდერლანდების ტერიტორიაზე უკანონოდ ამყოფებდნენ და არ ჰქონდა შესაძლებლობა გათავისუფლებულიყო. ის დაეყრდნო კონვენციის მე-5 და მე-13 მუხლებს, რომელთა შესაბამისი ნაწილები ადგენენ შემდეგს:

მე-5 მუხლი

1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლება. არავის შეიძლება ადეკვატოს თავისუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა და მხოლოდ კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად: ...

(გ) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება, უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს ამ პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის გონივრული ეჭვი, ან გონივრულადაა მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ან მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის ალკვეთის აუცილებლობა. ...

31 გადაწყვეტილება საქმეზე ბედე ჯოკაბა ლამში ლონგა ნიდერლანდების წინააღმდეგ

(ვ) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება, ქვეყანაში მისი უნებართვით შესვლის აღსაკვეთად, აგრეთვე იმისა, ვის მიმართაც ხორციელდება ღონისძიებანი მისი დეპორტაციის ან ექსტრადიციის მიზნით. ...

3. ამ მუხლის 1-ლი ნაწილის (გ) პუნქტით გათვალისწინებულ დებულებათა შესაბამისად დაკავებული თუ დაპატიმრებული პირი დაუყოვნებლივ წარედგინება მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განსახორციელებლად კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს და იგი აღჭურვილია უფლებით, მისი საქმე განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში, ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში. ასეთი გათავისუფლება შეიძლება პირობადებული იყოს სასამართლოში მისი გამოცხადების რაიმე გარანტიით.

4. ყველას, ვისაც დაკავებით ან დაპატიმრებით აღეკვეთა თავისუფლება, აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს, რომელიც დაუყოვნებლივ განიხილავს მისი დაპატიმრების საკითხს და ბრძანებს მის გათავისუფლებას, თუ ეს დაპატიმრება უკანონოა.

5. ყველა დაზარალებულს, ვინც ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევით დააკავეს ან დააპატიმრეს, აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.

მე-13 მუხლი

„ყველას, ვისაც ამ კონვენციით გაცხადებული უფლება ან თავისუფლება დაერღვა, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალება ეროვნული ხელისუფლების წინაშე, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა.“

იურისდიქცია

61. კონვენციის 1-ლი მუხლი ითვალისწინებს შემდეგს:

„მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყოფენ ამ კონვენციის პირველ თავში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს.“

ამ მუხლის მიხედვით, ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ აღებული ვალდებულება გულისხმობს, საკუთარი „იურისდიქციის“ ფარგლებში მყოფ პირთათვის ჩამოთვლილი უფლებებისა და თავისუფლებების „უზრუნველყოფას“ („reconnaître“ ფრანგულ ტექსტში). „იურისდიქცია“ 1-ლი მუხლის მნიშვნელობით არის ზღვრული კრიტერიუმი. იურისდიქციის განხორციელება ხელშემკვრელი სახელმწიფოებისათვის აუცილებელი წინაპირობაა, რათა პასუხი აგონ მათზე შერაცხულ ქმედებებზე ან უმოქმედობაზე, რასაც შეიძლება მოჰყვეს კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის შესახებ სავარაუდო საჩივრები (იხ. სხვა წყაროებთან ერთად *Hirsi Jamaa and Others v. Italy [GC]*, no. 27765/09, § 70, ECHR 2012, and *Al-Jedda v. the United Kingdom [GC]*, no. 27021/08, § 74, ECHR 2011).

1. მომჩივნის არგუმენტები

62. მომჩივნის პოზიციის თანახმად, ნიდერლანდებს მის დაკავებასთან დაკავშირებით შეეძლო და უნდა განეხორციელებინა იურისდიქცია. მან აღნიშნა, რომ ნიდერლანდების ხელისუფლებამ მისი თავშესაფრის მოთხოვნის განხილვასთან დაკავშირებით იურისდიქცია აღიარა; ის ამტკიცებდა, რომ ნიდერლანდებს არ უნდა მისცემოდა საშუალება თვითნებურად განეხორციელებინა ე.წ. „à la carte-jurisdiction“.

63. მომჩივანი ნიდერლანდების ტერიტორიაზე დააკავეს. საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს შესახებ ნიდერლანდების კანონის გამოყენება არ გამოირიცხებოდა; პირიქით, შტაბ-ბინის მთავარი ადგილსამყოფელის შესახებ ხელშეკრულების მე-8 მუხლი (იხ. ზემოთ მე-14 პარაგრაფი) მას გამოყენებადობის ამოსავალ წერტილად მიიჩნევდა. კონვენცია ნიდერლანდების სამეფოს კონსტიტუციის 93-ე და 94-ე მუხლების საფუძველზე (იხ. ზემოთ პარაგრაფი 40) უშუალოდ გამოიყენებოდა როგორც ნიდერლანდების კანონი, და ამდენად, მომჩივნის მიმართ გამოიყენებოდა როგორც *ratione loci*; შესაბამისად, მოხდა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს შესახებ (იმპლემენტაცია) კანონის 88-ე მუხლის უგულებელყოფა.
64. *Galić v. the Netherlands* (dec.), no. 22617/07, ECHR 2009, საქმეში მომჩივნისგან განსხვავებით, ეს მომჩივანი რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის მისამართით, მის მოქმედებასა თუ უმოქმედობის გამო, უკმაყოფილებას არ გამოხატავდა. საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლომ აღიარა, რომ მას მომჩივნის პატიმრობაში დატოვების არანაირი კანონიერი უფლება აღარ გააჩნდა; ერთადერთი მიზეზი ნიდერლანდებში მისი თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ მიმდინარე პროცესი იყო. ნიდერლანდების მთავრობა ეწინააღმდეგებოდა მომჩივნის მის მეურვეობის ქვეშ გადაცემას, მან საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს გაუგზავნა ვერბალური ნოტები (*notes verbales*) მოთხოვნით, რათა მომჩივანი დარჩენილიყო მათ ტერიტორიაზე, ასევე უარი თქვა მის მეურვეობის ქვეშ გადმოცემაზე, ისევე როგორც მომჩივნის პატიმრობის დასრულებამდე მის დაცვაზე. ეს კი დამადასტურებელი იყო იმისა, რომ მომჩივნის გაჭიანურებული დაკავება პირდაპირ და ერთმნიშვნელოვნად ნიდერლანდებისთვის შერაცხული მოქმედებისა თუ უმოქმედობის შედეგი იყო.
65. ალტერნატივის სახით, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენდა, რომ მომჩივანი საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს უფლებამოსილების ქვეშ იყო დაკავებული, ის ამტკიცებდა, რომ კონვენციის შესაბამისად, ნიდერლანდები მასთან დაკავშირებით ვალდებულებებისაგან ვერ გათავისუფლდებოდა.
66. ადამიანის უფლებათა ყოფილი ევროპული კომისიის პრაქტიკის გათვალისწინებით, კერძოდ, *M. v. Germany* (no. 13258/87, Commission decision of 9 February 1990, Decisions and Reports (DR) 64) and *Heinz v. the Contracting States party to the European Patent Convention insofar as they are High Contracting Parties to the European Convention on Human Rights, i.e. Austria, Belgium, Denmark, France, Germany, Greece, Ireland, Italy, Liechtenstein, Luxembourg, Netherlands, Norway, Portugal, Spain, Sweden, Switzerland and the United Kingdom* (no. 21090/92, Commission decision of 10 January 1994, DR 76-A), and case-law of the Court, namely *Matthews v. the United Kingdom* ([GC], no. 24833/94, ECHR 1999-I), *Waite and Kennedy v. Germany* ([GC], no. 26083/94, ECHR 1999-I) and *Prince Hans-Adam II of Liechtenstein v. Germany* ([GC], no. 42527/98, ECHR 2001-VIII), მომჩივანი ამტკიცებდა, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ შეთავაზებული ადამიანის უფლებების დაცვის დონე არ იყო საკმარისი, რადგან საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს ფუნქციონირების მარეგულირებელი შეთანხმებები და წესები არ მოიცავდა მისი დაკავების განსაკუთრებულ ვითარებას. მეტიც, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს ექვემდებარების მიმართაც დაცვის დონე არასაკმარისი იყო: 2009 წლის 2 დეკემბრის ბემბას საქმეზე გადაწყვეტილებამ (იხ. ზემოთ 42-ე პარაგრაფი) ნათლად აჩვენა, რომ ექვემდებარების პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლებაც კი შეუძლებელი იყო, თუ არც ერთი ქვეყანა მის მიღებაზე მზადყოფნას არ გამოხატავდა და ვერ შეძლებდა შესაბამისი პირობების დაცვის უზრუნველყოფას.

67. ჯამში, მომჩივნის ალტერნატიული არგუმენტი იყო ის, რომ მოსაზრება, რომელიც პირველად გამოითქვა *Bosphorus Hava Yolları Turizm ve Ticaret Anonim Şirketi v. Ireland* ([GC], no. 45036/98, § 156, ECHR 2005-VI) საქმეში, კერძოდ ის, რომ ძირითადი უფლებების დაცვა უნდა ხდებოდეს ისე, რომ შესაბამებოდეს კონვენციით გათვალისწინებულ დაცვას, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობიდან გამომდინარე არსებულ ვალდებულებებთან შესაბამისი სახელმწიფო ქმედებები უნდა ხორციელდებოდეს კონვენციით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, უარყოფილ იქნა და შესაბამისად ნიდერლანდებს მოეთხოვებოდა პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება.

2. სასამართლოს შეფასება

68. სასამართლო მომჩივნის პოზიციის სამ ძირითად არგუმენტს რიგრიგობით განიხილავს

(ა) ტერიტორიული პრინციპი

69. ცნება „იურისდიქცია“ როგორც საერთაშორისო საჯარო სამართლის, ასევე კონვენციის 1-ლი მუხლის გაგებით პირველ რიგში არის ტერიტორიული. კონვენციით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა, ჩვეულებრივ, ჩნდება იმ პირის მიმართ, რომელიც იმყოფება ხელშემკვრელი სახელმწიფოს „იურისდიქციის“ ქვეშ, მის ტერიტორიაზე ფიზიკურად ყოფნის მნიშვნელობით. თუმცა, სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში არსებობს გამონაკლისებიც. კერძოდ, სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო საჯარო სამართლის ნორმებიდან გამომდინარე, სასამართლომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლებაზე შეზღუდვები დაადგინა (see *McElhinney v. Ireland* [GC], no. 31253/96, § 38, ECHR 2001-XI; *Al-Adsani v. the United Kingdom* [GC], no. 35763/97, § 56, ECHR 2001-XI; and *Fogarty v. the United Kingdom* [GC], no. 37112/97, § 38, ECHR 2001-XI). სასამართლომ ასევე აღიარა, რომ თუ სახელმწიფოები საქმიანობის ზოგიერთ სფეროში თანამშრომლობის განხორციელებისა და გაძლიერების მიზნით ქმნიან საერთაშორისო ორგანიზაციებს და თუ ისინი ამ ორგანიზაციებს გარკვეულ უფლებამოსილებასა და იმუნიტეტს ანიჭებენ, ამან შეიძლება შედეგები ძირითადი უფლებების დაცვის კუთხით იქონიოს (იხ. *Waite and Kennedy v. Germany* [GC], no. 26083/94, § 67, ECHR 1999-I).

70. *Galić*-ის საქმეზე განჩინებებში (ზემომოყვანილ 44-ეპარაგრაფში) და *Blagojević v. the Netherlands* (no. 49032/07, § 44, 9 June 2009), სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს არ იყო აქსიომა, რომ კონკრეტული სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიმდინარე სისხლის სამართლის პროცესი აუცილებლად წარმოშობდა შესაბამისი ქვეყნის პასუხისმგებლობას საერთაშორისო საჯარო სამართლის კუთხით. ამის საილუსტრაციოდ სასამართლომ წარმოგვიდგინა შემდეგი მაგალითები - ნატოს შეიარაღებული ძალების სტატუსის შესახებ შეთანხმების VII მუხლი, რომელიც მასპინძელი ქვეყნის ტერიტორიაზე თავის შეიარაღებულ ძალებზე გამგზავნი სახელმწიფოს სისხლის სამართლის იურისდიქციას ითვალისწინებდა და ნიდერლანდებში შოტლანდიის სასამართლო, რომელმაც 1998 და 2002 წლებში ნიდერლანდების ტერიტორიაზე შოტლანდიის კანონის შესაბამისად სასამართლო წარმოება გამართა.

71. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მხოლოდ ის ფაქტი, რომ ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის ტრიბუნალი ჰააგაში მდებარეობდა, არ იყო საკმარისი, რათა გასაჩივრებული ქმედებებისთვის პასუხისმგებლობა

ნიდერლანდებს შერაცხოდა. ამ დასკვნის გამოტანისას, სასამართლომ გაითვალისწინა კონკრეტული კონტექსტი, რომელშიც ეს საკითხი წამოიჭრა. სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ *Galić* და *Blagojević* საქმეებში ჩართული იყო საერთაშორისო ტრიბუნალი, შექმნილი ადამიანის ძირითადი უფლებების პატივისცემის პრინციპზე, დაფუძნებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, ამავდროულად, ძირითადი სამართლებრივი დებულებები, რომლებიც ტრიბუნალის ორგანიზაციასა და პროცედურას არეგულირებდნენ, მიზანმიმართულად შემუშავებული იყო ისე, რომ ბრალდებულები ყველა შესაბამისი გარანტიით აღეჭურვა.

72. სასამართლოს აზრით, ეროვნული თუ საერთაშორისო ტრიბუნალისთვის ბრალდებისა ან დაცვის მოწმეების გამოცხადების უზრუნველსაყოფად შესაბამისი უფლებამოსილების არქონა, წარმოუდგენელია. მოწმეების პატიმრობაში ყოლის უფლებამოსილება იმ საფუძველით, რომ მათ ჩვენებების მიცემა არ სურთ, ან იმიტომ, რომ ისინი დაკავებულები არიან სხვა მიზეზის გამო, არის აუცილებელი მოთხოვნა. ეს უფლებამოსილება ნაგულისხმევია ნატოს შეიარაღებული ძალების სტატუსის შესახებ შეთანხმებაში, რომელიც VII მუხლის საფუძველზე გამგზავნ სახელმწიფოებს წესრიგის დამყარების და გასამართლების ექსტრატერიტორიულ უფლებამოსილებას ანიჭებს (იხ. ზემოთ 46-ე პარაგრაფი); ამასთან დაკავშირებით ცალსახა დებულება იყო ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის პროცედურისა და მტკიცებულებათა წესის 90-ე bis მუხლში (იხ. ზემოთ 45-ე პარაგრაფი), ისევე როგორც ნიდერლანდებში შოტლანდიის სასამართლოსთვის უმაღლესი სისხლის სამართლის სასამართლოს მე-12 მუხლში (ნიდერლანდების სამართალწარმოება) (გაერთიანებული ერები) ბრძანება 1998 (იხ. ზემოთ 50-ე პარაგრაფი).
73. მომჩივანი ნიდერლანდებში საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოში მიმდინარე სისხლის სამართლის პროცესზე როგორც დაცვის მოწმე ჩამოიყვანეს. ქვეყანაში, საიდანაც იყო წარმოშობით, ის უკვე დაკავებული იყო და საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მეურვეობის ქვეშ იმყოფება. ის ფაქტი, რომ მომჩივანს თავისუფლება ნიდერლანდების ტერიტორიაზე აქვს შეზღუდული თავისთავად არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ დაისვას საკითხი მისი ნიდერლანდების „იურისდიქციის“ ქვეშ პატიმრობის კანონიერებასთან დაკავშირებით, რადგანაც ეს ფორმულირება უნდა იყოს გაგებული კონვენციის 1-ლი მუხლის ფარგლებში.
74. თუმცა, მომჩივნის საჩივრის არსს წარმოადგენს სწორედ ის, რომ ჩვენების მიცემის შემდეგ, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ მისი პატიმრობა კანონიერ საფუძველს მოკლებულია. ამგვარად, შექმნილი ვაკუუმი შეიძლება აღმოიფხვრას მხოლოდ ნიდერლანდების სამართლებრივი სისტემით, რომელზეც კონვენცია პირდაპირ ვრცელდება.
75. სასამართლოს მიაჩნია, რომ მანამ, სანამ მომჩივანი არც კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაბრუნებულა და მოთხოვნისამებრ, არც ნიდერლანდების ხელისუფლებისთვის გადაცემულა, მისი დაკავების სამართლებრივ საფუძველად საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსა და კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს სტატუტის 93-მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად დადებული ხელშეკრულება რჩება. ეს 2011 წლის 1 სექტემბრის სასამართლოს პირველი პალატის ბრძანებულებისა და მის 2011 წლის 15 დეკემბრის განჩინებაში აისახა (იხ. ზემოთ 23-ე და 24-ე პარაგრაფები), რაც ცხადყოფს იმას, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო სტატუტის 93-ე მუხლის მე-7 ნაწილის (ბ) პუნქტის შესაბამისად, მომჩივნის მის ტერიტორიაზე

ყოფნის მიზეზის არარსებობის გამო, ელოდება თავისი ვალდებულების შესრულებას, რათა მომჩივანი კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დააბრუნოს. ამგვარად, სამართლებრივი ვაკუუმი არ არსებობს.

(ზ) საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ შეთავაზებული გარანტიების სავარაუდო არასაკმარისობა

76. *Bosphorus Hava Yolları Turizm ve Ticaret Anonim Şirketi* (იხ. ზემოთ, §§ 152-56; ასევე იხ. *Coöperatieve Producentenorganisatie van de Nederlandse Kokkelvisserij U.A. v. the Netherlands* (dec.), no. 13645/05, ECHR 2009), საქმეზე სასამართლომ განაცხადა შემდეგი:

„152. კონვენცია ერთის მხრივ, ხელშემკვრელ სახელმწიფოებს საქმიანობის ზოგიერთ სფეროში თანამშრომლობის განსახორციელებლად საერთაშორისო (მათ შორის ზეეროვნული) ორგანიზაციებისთვის სუვერენული ძალაუფლების გადაცემას არ უკრძალავს (see [M. & Co. v. the Federal Republic of Germany (no. 13258/87, Commission decision of 9 February 1990, Decisions and Reports (DR) 64, p. 138] and [Matthews v. the United Kingdom [GC], no. 24833/94, § 32, ECHR 1999-I]). მეტიც, ამ ტიპის სუვერენული ძალაუფლების მქონე ორგანიზაცია არ არის პასუხისმგებელი კონვენციის წინაშე მის ქმედებებზე, გადაწყვეტილებებზე თუ ორგანოების საქმიანობაზე, გარდა იმ შემთხვევისა თუ ის კონვენციის ხელმომწერ მხარეს წარმოადგენს (იხ. ზემოთ *Confédération française démocratique du travail v. European Communities*, no. 8030/77, Commission decision of 10 July 1978, DR 13, p. 231; *Dufay v. European Communities*, no. 13539/88, Commission decision of 19 January 1989, unreported; and *M. & Co.*, p. 144, and *Matthews*, § 32).

153. მეორეს მხრივ, აღიარებულია, რომ კონვენციის 1-ლი მუხლის შესაბამისად, ხელშემკვრელი მხარე პასუხისმგებელია მისი ორგანოების ყველა ქმედებასა თუ უმოქმედობაზე, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ეს ქმედება თუ უმოქმედობა შიდა კანონმდებლობით თუ საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებათა შესრულებით განპირობებული. 1-ლი მუხლი არ განასახვავებს წესებსა და ზომებს ტიპის მიხედვით და ხელშემკვრელი მხარის „იურისდიქციის“ არც-ერთ ნაწილს კონვენციის კონტროლისგან არ გამოირიცხავს (იხ. *United Communist Party of Turkey and Others v. Turkey*, judgment of 30 January 1998, Reports 1998-I, pp. 17-18, § 29).

154. ამ ორი პოზიციის შეჯერებისას და ამგვარად იმის დადგენისას, თუ რამდენად შესაძლებელია იმ ქმედების გამართლება, რომელიც სახელმწიფომ განახორციელა იმ ვალდებულებებიდან გამომდინარე, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციაში მის წევრობას უკავშირდება, ისეთ ორგანიზაციაში, რომელსაც მან თავისი სუვერენული უფლებების ნაწილი გადასცა, სასამართლომ დაადგინა, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოების სრულად გათავისუფლება კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან ასეთ სფეროებში ძალაუფლების გადაცემის გზით, შეუსაბამო იქნება კონვენციის მიზანსა და ამოცანებთან. ასეთ შემთხვევაში, კონვენციით გათვალისწინებული გარანტიები სურვილისამებრ შესაძლოა შეიზღუდოს ან ამოირიცხოს, რაც მათ იმპერატიულ ხასიათს ჩამოართმევს და გარანტიების პრაქტიკულ და ეფექტიან არსს შელახავს (იხ. *M. & Co.*, p. 145, and [Waite and Kennedy v. Germany [GC], no. 26083/94, § 67, ECHR 1999-I]). სახელმწიფო ინარჩუნებს კონვენციით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისადმი, კონვენციის ძალაში შესვლის კვალდაკვლავ. (იხ. *mutatis mutandis*, *Matthews*, cited above, §§ 29 and 32-34, and *Prince Hans-Adam II of Liechtenstein v. Germany* [GC], no. 42527/98, § 47, ECHR 2001-VIII).

155. სასამართლოს აზრით, ასეთ სამართლებრივ ვალდებულებებთან შესაბამისობაში განხორციელებული სახელმწიფოს ქმედება გამართლებულია მანამ, სანამ შესაბამისი ორგანიზაცია ძირითადი უფლებების დამცველად მიიჩნევა, როგორც შემოთავაზებული გარანტიების, ასევე მათი შესრულების კონტროლის მექანიზმების თვალსაზრისით, იმგვარად, რომ შეიძლება კონვენციით გათვალისწინებული სისტემის ექვივალენტურად ჩაითვალოს (იხ. ზემოთ *M. & Co.* p. 145, მიდგომა, რომელიც მხარეებსა და ევროკომისიისთვის მისაღები აღმოჩნდა). „ექვივალენტურში“ სასამართლო „შედარებით“ გულისხმობს; ნებისმიერი მოთხოვნა იმასთან დაკავშირებით, რომ ორგანიზაციების დაცვა იყოს „იდენტური“, შესაძლოა უარყოფითად აისახოს საერთაშორისო თანამშრომლობაზე... თუმცა, ექვივალენტობის დადგენა ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვის რელევანტური ცვლილებების გადახედვის ფარგლებში, არ შეიძლება გახდეს საბოლოო და იქნება მოწყვლადი.

156. თუ დადგინდა, რომ ორგანიზაცია უზრუნველყოფს ექვივალენტურ დაცვას, პრეზუმფცია სახელმწიფოს სასარგებლოდ გადაწყდება, კერძოდ, რომ მას არ დაურღვევია კონვენციის მოთხოვნები, თუ მხოლოდ და მხოლოდ ამ ორგანიზაციის წევრობიდან გამომდინარე ვალდებულებები შეასრულა.

თუმცა ნებისმიერი ასეთი პრეზუმფცია შესაძლოა იყოს უარყოფილი, თუ კონკრეტული საქმის გარემოებებში ნავარაუდევია, რომ კონვენციის შესაბამისად უფლებების დაცვა არასაკმარისი იყო. ასეთ შემთხვევებში, საერთაშორისო თანამშრომლობის ინტერესს კონვენციის როლი - როგორც ადამიანის უფლებათა სფეროში 'ევროპული საზოგადოებრივი წესრიგის კონსტიტუციური ინსტრუმენტი' - გადაწონის (იხ. *Loizidou v. Turkey* (preliminary objections), judgment of 23 March 1995, Series A no. 310, pp. 27-28, § 75)."

77. მომჩივნის აზრით, მისი ძირითადი უფლებების დაცვა მის დაკავებასთან დაკავშირებით შემქნილი ვითარების შესაბამისად, შეუძლებელია
78. სახელმწიფო საბჭოს ადმინისტრაციული იურისდიქციის განყოფილების მსგავსად, სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ მომჩივნის დაკავება საერთაშორისო სამართლის დებულებების საფუძველზე მოხდა, რომელიც საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს ფუნქციონირებას არეგულირებს და ასევე სავალდებულოა ნიდერლანდებისთვის.
79. სასამართლო აღნიშნავს, რომ პროცედურებისა და მტკიცებულებათა წესების 87-ე და 88-ე წესის თანახმად, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს გააჩნია უფლებამოსილება, მოითხოვოს დამცავი ზომები, ან სხვა სპეციალური ზომები, რომელიც უზრუნველყოფს, რომ მოწმეების ძირითადი უფლებები არ დაირღვეს. სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლო პალატამ, თავის 2011 წლის 4 ივლისის განჩინებაში ეს უფლებამოსილება ფაქტობრივად გამოიყენა (იხ. ზემოთ მე-18 პარაგრაფი).
80. მომჩივნის ვარაუდის საპირისპიროდ, სასამართლო პალატის მიერ ზემოხსენებული უფლებამოსილების ფარგლებში გაცემული ბრძანებულებები, ვერ გახდება კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ პირის პატიმრობიდან გათავისუფლების აუცილებელი წინაპირობა. სახელმწიფოს, რომელიც მის ტერიტორიაზე საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის მასპინძლობას დასთანხმდა, ტრიბუნალსა და არა-წევრ სახელმწიფოებს შორის კანონიერად დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, თავისუფლების აღკვეთის კანონიერების განხილვას კონვენცია არ ავალდებულებს.

(გ) ნიდერლანდების მიერ იურისდიქციის განხორციელება მომჩივნის თავშესაფრის მოთხოვნის განსახილველად

81. სასამართლოს მიერ დადგენილი პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, ხელშემკვრელ სახელმწიფოებს აქვთ უფლება, დადგენილი საერთაშორისო სამართლისა და სახელმწიფოებო ნორმების გათვალისწინებით, მათ შორის კონვენციიდან გამომდინარე, გააკონტროლონ უცხოელთა შემოსვლა, ცხოვრება და მათი გაძევება (იხ. სხვა წყაროებთან ერთად, *Abdulaziz, Cabales and Balkandali v. the United Kingdom*, 28 May 1985, § 67, Series A no. 94; *Boujlifa v. France*, 21 October 1997, § 42, Reports of Judgments and Decisions 1997-VI; *Hirsi Jamaa and Others*, cited above, § 113; and *Kurić and Others v. Slovenia* [GC], no. 26828/06, § 355, 26 June 2012). სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ პოლიტიკური თავშესაფრის უფლებას არც კონვენცია და არც მისი დამატებითი ოქმები არ ცნობენ (იხ. ისევ სხვა წყაროებთან ერთად, *Vilvarajah and Others v. the United Kingdom*, 30 October 1991, § 102, Series A no. 215; *Chahal v. the United Kingdom*, 15 November 1996, § 73, Reports 1996-V; and *Hirsi Jamaa and Others*, cited above). გარდა ამისა, შესაბამისი სახელმწიფოს მოქალაქეობის არმქონე პირთათვის კონვენცია შემოსვლის, ცხოვრების, ან სახელმწიფოს ტერიტორიაზე დარჩენის უფლებას არ

იდლევა(იხ. ამ წყაროებში, *Kane v. Cyprus* (dec.), no. 33655/06, 13 September 2011; *H. v. the Netherlands* (dec.), no. 37833/10, 18 October 2011; and *Kurić and Others*, cited above). და ბოლოს, სახელმწიფოები პრინციპში არ არიან ვალდებული უცხოელებს მისცენ უფლება, დაელოდონ მათ ტერიტორიაზე საიმისე პროცედურების დამთავრებას (იხ. *mutatis mutandis*, *Nsona v. the Netherlands*, 28 November 1996, § 93, Reports 1996-V; *Chandra and Others v. the Netherlands* (dec.), no. 53102/99, 25 August 1999; *Benamar and Others v. the Netherlands* (dec.), no. 43786/04, 5 April 2005; and *Haydarie and Others v. the Netherlands* (dec.), no. 8876/05, 20 October 2005).

82. მომჩივნის არგუმენტი მდგომარეობს შემდეგში: ვინაიდან ნიდერლანდები მის თავშესაფრის მოთხოვნის განხილვას დასთანხმდა, ეს მოწმობს იმას, რომ ნიდერლანდებმა ასევე თავისთავზე აიღო საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს ტერიტორიაზე მისი პატიმრობის კანონიერების განხილვა და თუ დაადგინა, რომ მისი დაკავება, სავარაუდოდ მის ტერიტორიაზე, იყო უკანონო, მისი გათავისუფლების შესახებ ბრძანებას გასცემს.
83. ზემოხსენებული პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით, სასამართლო, თავის მხრივ, ასეთ კავშირს ვერ ხედავს.

(დ)დასკვნა

84. აქედან გამომდინარე, საჩივარი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 ნაწილის (ა) პუნქტის დებულებებთან *ratione personae* შეუთავსებელია და 35-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, მის დაკმაყოფილებაზე უნდა ითქვას უარი.

ამ მიზეზთა გამო, სასამართლო ერთხმად

საჩივარს მიუღებლად სცნობს.

სანტიაგო კესადა

ჟოსეფ კასადევალი

სასამართლო გამწესრიგებელი

პრეზიდენტი

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2013

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ოფიციალური ენებია ინგლისური და ფრანგული. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით (www.coe.int/humanrightstrustfund). იგი სასამართლოსათვის სავალდებულო ხასიათს არ ატარებს და არც მის ხარისხზე აკისრებს პასუხისმგებლობას. მოცემული დოკუმენტი შეიძლება ჩამოტვირთულ იქნას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC სასამართლო პრაქტიკის მონაცემთა ბაზიდან (<http://hudoc.echr.coe.int>) ან ნებისმიერი სხვა მონაცემთა ბაზიდან, რომელთანაც სასამართლომ მოახდინა მისი გაზიარება. დასაშვებია თარგმანის რეპროდუქცირება არაკომერციული მიზნებისათვის იმ პირობით, რომ მოხდება საქმის სრული სახელწოდების ციტირება, მოცემულ საავტორო უფლებების აღნიშვნასა და ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდზე მითითებით. წინამდებარე თარგმანის ნებისმიერი ნაწილის კომერციული მიზნებით გამოყენების სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვწეროთ შემდეგ მისამართზე: publishing@echr.coe.int.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2013

The official languages of the European Court of Human Rights are English and French. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court, nor does the Court take any responsibility for the quality thereof. It may be downloaded from the HUDOC case-law database of the European Court of Human Rights (<http://hudoc.echr.coe.int>) or from any other database with which the Court has shared it. It may be reproduced for non-commercial purposes on condition that the full title of the case is cited, together with the above copyright indication and reference to the Human Rights Trust Fund. If it is intended to use any part of this translation for commercial purposes, please contact publishing@echr.coe.int.

© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2013

Les langues officielles de la Cour européenne des droits de l'homme sont le français et l'anglais. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour, et celle-ci décline toute responsabilité quant à sa qualité. Elle peut être téléchargée à partir de HUDOC, la base de jurisprudence de la Cour européenne des droits de l'homme (<http://hudoc.echr.coe.int>), ou de toute autre base de données à laquelle HUDOC l'a communiquée. Elle peut être reproduite à des fins non commerciales, sous réserve que le titre de l'affaire soit cité en entier et s'accompagne de l'indication de copyright ci-dessus ainsi que de la référence au Fonds fiduciaire pour les droits de l'homme. Toute personne souhaitant se servir de tout ou partie de la présente traduction à des fins commerciales est invitée à le signaler à l'adresse suivante : publishing@echr.coe.int.